სარგიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 მაისი 2008 №120 (3344) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიხარეთ, არ გავიხარეთ...

წლეულს პირველად არ წავაგეთ

მიჯრით მეოთხედ ვერ მოვიგეთ

საგოლე მომენტებს გამოყენება უნდა

საქართველოს ნაკრებს მონდომება ეტყობოდა

ნათელი წერტილები: იაშვილი, ყენია...

უხეში შეცდომები ისევ მრავლად იყო

ძველი სენი: არგასაშვების გაშვება

გაშვებულმა გოლმა გუნდი არ გატეხა

ესტონეთი 1:1 საქართველო

რა იქნება პორტუგალიის

ბაფრი ჯეილანის ფოტო

შოთა ამას იმსახურებს!

შოთა არველაძე თბილისშია და 3 ივნისის გამოსამშვიდობებელი, მის საფეხბურთო კარიერაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და გულის ამაჩუყებელი მატჩისთვის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი სამშაბათს თავისი მეგობრების, ყოფილი თანაგუნდელებისა და ქომაგების თვალწინ ბოლოჯერ მოირგებს საქართველოს ნაკრების მაისურს და მოედანს დაემშვიდობება. გამოსამშვიდობებელი მატჩი, ზოგადად ქართული ფეხბურთისთვის ჯერ უცხოა და შოთა არველაძე ამ საქმეშიც პირველია, გამოსამშვიდობებელი შოუ-მატჩით პირველად დიდი ფეხბურთიდან სწორედ შოთას გავაცილებთ. რა და როგორ იქნება 3 ივნისს, რას ველოდოთ ამ მატჩისას ეროვნულ სტადიონზე და რა აუხდენელი ოცნება დარჩა მოედანზე შოთა არველაძეს — ამ ამბებზე გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე თავად შოთამ გვითხრა, ვისთან ერთადაც მისი ტყუპისცალი არჩილი, პროფლიგის გენმდივანი პაატა ბურჯალიანი და მომღერალი ლიზი ბაგრატიონი იყვნენ...

— როცა ამგვარი მატჩის მოწყობაზე ფიქრი დავიწყე და გადაწყვეტილება მივიღე, არ მეგონა, თუ ამდენი პრობლემა შემექმნებოდა, მაგრამ ღმერთის წყალობით, ახლა უკვე ყველაფერი მოგვარებულია. დიდი მადლობა თბილისის მერიას და ეროვნულ სტადიონის დირექციას, რომლებიც ყველანაირად გვერდით დამიდგნენ და მათი დახმარებით მატჩის ორგანიზება შესაძლებელი გახდა. მადლობა ჟურნალისტებს, რომლებსაც ეს ამბავი ქომაგებამდე მიაქვთ, მადლობა საქართველოს ბანკს, „ყაზბეგს“, „ბადაგონს“, „პეპსის“, სამორინე „აჭარას,“ „იბერია ჯგუფს“, „ჯეოსელს“, „შერატონს“, „აირზენას“, თბილისის აეროპორტს...

...სამორინე „აჭარამ“ თვითმფრინავი იქირავა, რომელიც კოპენჰაგენი-თბილისის ჩარტერულ რეისს შეასრულებს და ძმებ ლაუდრუპებსა და მორტენ ოლსენს ჩამოიყვანს. 3 ივნისის სტუმართა დიდი ჯგუფი კი 2-ში ამსტერდამიდან ჩამოვა. იმავ საღამოს სხვადასხვა ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი, 3-ში ვითამაშებთ, გამთენიისას კი ისინი უკან გაბრუნდებიან...

...ის ფეხბურთელები, რომლებიც აქამდეც იყო გამოცხადებულნი, ყველანი ჩამოვლენ, სამწუხაროდ, ოჯახური და სამსახურეობრივი საქმეების გამო გერმანელი მეკარე შტეფან კლოსი და კრისტიან ნერლინგერი არ იქნებიან, სამაგიეროდ კი, ჩამოსვლაზე თანხმობა მივიღე დენი ლანძაატისგან და ედგარ დავიდსისგან. საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა იქნებიან, მეგობრების გუნდისა კი ლუის ვან გაალი და მორტენ ოლსენი. უცხოეთიდან ველი სხვადასხვა რანგის სტუმრებს, ჩამოვა რუსი ჟურნალისტი ვასილი უტკინიც...

...ქომაგებს ვთხოვ, რომ სტადიონზე თამაშის დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე ნუ მოვლენ. 45 წუთით ადრე პირადად მე რაღაც მაქვს ჩაფიქრებული და კარგი იქნება, ქომაგები ამ სანახაობასაც თუ დაესწრებიან...

...როგორც ამგვარი მატჩებისას არის ხოლმე, ჩემს გამოსამშვიდობებელ შეხვედრაშიც ბევრი იქნება გოლი და არ იქნება ყვითელ-წითელი ბარათები. მატჩს ქართველი არბიტრები მოემსახურებიან — ლევან ფანიაშვილი, ლევან მიქელაძე, ზურაბ მენთეშაშვილი და გიორგი ვადაჭკორია...

...მეგობრების გუნდის მეკარე ჩემი აიაქსელი მეგობარი ფრედი გრიმი იქნება. თავად კი ვგეგმავ, რომ პირველი ტაიმი მეგობრების გუნდში ვითამაშო, შემდეგ საქართველოს ნაკრებში, ჩემი საყვარელი თერთმეტნომრიანი მაისურით. უნდა ჩამოსულიყო „მანჩესტერის“ მეკარე ედვინ ვან დერ საარიც, მაგრამ ის ჰოლანდიის ნაკრებშია გამოძახებული...

...26 მაისს ჯიკა პოპესკუსა და ლუიშ ფიგუს მეგობართა მატჩზე ვიყავი მიწვეული, მაგრამ წასვლა ვერ მოვახერხე, აქაური საქმეები მაქვს და...

...ფეხბურთელის კარიერაში ჩემი ოცნება იყო, რომ მომეგო რომელიმე ევროთასი და საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე მეთამაშა. სამწუხაროდ, ფეხბურთელობისას ეს ვერ მოვახერხე, მაგრამ იმედი მაქვს, ამას მწვრთნელის რანგში მივაღწევ. დიახ, მსურს და მოწადინებული ვარ, რომ მწვრთნელი ვიყო, უკვე მაქვს გარკვეული წინადადებები, მაგრამ ჯერ ვერ გადამიწყვეტია, სად ვიმუშაო. ერთი შემოთავაზება, ადრეც ვთქვი, ლუის ვან გაალისგან მაქვს. მან თანაშემწის სამსახური მთხოვა...

ლიზი ბაგრატიონი: ქართული ფეხბურთისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის 3 ივნისი მართლაც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული დღე არის. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩი სტიმულიც იქნება და დარწმუნდებიან, რომ თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ. ისინი შრომის ფასს გაიგებენ. გვსურს, რომ მრავალრიცხოვან სტუმრებს საკადრისად ვუმასპინძლოთ. გვსურს, რომ მათ საქართველოს მთელი სილამაზე და მშვენიერება მაქსიმალურად შეიგრძნონ...

...3 ივნისის მატჩზე დასასწრები ბილეთების ფასი 5, 7 და 10 ლარი იქნება. მათი გაყიდვა „ეროვნულის“ სალაროებში 31 მაისს დაიწყება და ალბათ ტრიბუნებიც ბოლომდე შეივსება. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთი თუ გიყვარს, ამდენი ვარსკვლავის ნახვის უკეთეს შანსს ვერსად მიიღებთ. თანაც შოთა ნამდვილად იმსახურებს, რომ ფეხბურთიდან გადაჭედილმა „ეროვნულმა“ გააცილოს...

კოგა ინასარიძე

ინტერტოტოს თასი ლოკომოტივს ერგო

გიორგი კიკნაძე

გ. ფეფელაშვილის ფოტო

რუსთავის „ოლიმპი“ — არა, თბილისის „ამერი“ — არა, ბოლნისის „სიონი“ — არა, „ბორჯომი“ — არა... ეს ჩამონათვალი ლამის თავსატეხად ექცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. ვინ ითამაშებს ინტერტოტოს თასზე? ამ კითხვას გუშინ გაეცა პასუხი და ეს პასუხი თბილისის „ლოკომოტივია“.

უარისმთქმელთა გარდა ინტერტოტოს თასზე გასვლა კი სურდათ ახალციხის „მესხეთს“ და ზუგდიდის „მგლებს“, მაგრამ მათ უეფას ლიცენზია არა აქვთ და ამიტომაც დადგა „ლოკომოტივის“ ჯერი.

ასე რომ, გიორგი კიკნაძის გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდა. მშვენიერი შანსი მიეცა, თავი ევროპაში წარმოაჩინოს...

კახა შალამბერიძე

ზარიამ ქართველები დაიტოვა

უკრაინული სააგენტოების ცნობით, გიორგი ციმაკურიძე და ლადო ბურდული მომავალ სეზონსაც ლეგანსკის „ზარიაში“ გაატარებენ.

ქართველების „ზარიამ“ უკრაინის უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა და ახლა გაძლიერებას აპირებს, რაშიც ხელმძღვანელობას ციმაკურიძე-ბურდულის იმედიც აქვს. არადა, იყო შანსი, ისინი ლუგანსკიდან აბარგებულიყვნენ.

„ზარიამ“ უკვე თერთმეტი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე...

კახა შალამბერიძე

კანდელაკი ჰეთ თრიქსაც ეწია

იენის „კარლ ცაისმა“ ამხანაგურ მატჩში გერმანიის ქვედალიგელ „მაინცერ კიკერსს“ 13:3 სძლია და საინტერესოა, რომ ილია კანდელაკმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

კანდელაკი ბოლო რამდენიმე თვეში აქცია „კარლ ცაისმა“ შემტევ მოთამაშედ, თორემ იქამდე ყოველთვის მარცხენა მცველი ან საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ.

იენელები მომავალ სეზონს რეგიონლიგაში დაიწყებენ. სავარაუდოდ, სამივე ქართველი დატოვებს გუნდს. გიორგი ონიანსა და გიორგი სეთურიძეს გერმანიაში კლუბის მოძებნა ალბათ გაუჭირდებათ, ხოლო კანდელაკი „ფრაიბურგს“ აინტერესებსო, ამასწინათ უკვე ვწერდით და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან...

ილია ნანოგაშვილი

შვედეთი

სუპერლიგა. VII ტური

ჰაკენი 0:0 იონკოპინგი

ირლანდია

პრემიერლიგა. XIII ტური

კორკი 1:1 შემროკი
დროჰედა 1:1 სლიგო
დუბლინი 2:2 ბრეი
ფინ ჰარპსი 0:2 დერი
სენტ პატრიკსი 0:1 ბოჰემიანსი

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXII ტური

კოშიცე 1:2 ნიტრა
არტმედია 2:1 ტრნავა
რუჟომბეროკი 0:0 ბ. ბისტრიცა
სლოვანი 4:0 სენეცი
ტრენჩინი 0:0 მორავცე
ჟილინა 5:0 დუბნიცა

ისლანდია

I დივიზიონი
IV ტური

ბრეიდაბლიკი 3:6 გრინდავიკი

არგენტინა

კლაუსურა
XVI ტური

ოლდ ბოისი 0:1 ოლიმპო

ამხანაგური მატჩები

იაპონია 0:0 პარაგვაი
ინდოეთი 2:2 ტაივანი
გერმანია 2:2 ბელარუსი
ყატარი 2:1 ლიბანი
ლუძსემბურგი 1:1 კაბო ვერდე
ჩერნოგორია 3:0 ყაზახეთი
ს. არაბეთი 2:1 ძუვეითი
ალბანეთი 0:1 პოლონეთი
ავსტრია 1:1 ნიგერია
ჩეხეთი 2:0 ლიტვა
საფრანგეთი 2:0 ეკვადორი
მოჰუნ ბაგანი 0:3 ბაიერნი

ტულონის ოთხთა ტურნირი

ნახევარფინალი. 20-ფლამდელები

ჩილე 2:1 კოტ დივუარი
იტალია 0:0 დ.დ. (5:4პ) იაპონია

ევროპის U-19 ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

ალბანეთი 0:3 ხორვატია
გერმანია 5:2 სლოვაკეთი
სომხეთი 2:4 ესპანეთი
თურქეთი 0:3 უკრაინა

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ამხანაგური მატჩი

გაელვებები და შეცდომები

საქართველო ყენიამ იხსნა

ილია ნანობაშვილი

რით გავიხაროთ? წლეულს მესამე ამხანაგური მატჩიდან პირველად მოხდა, რომ საქართველოს ნაკრებმა არ წააგო, არადა, მიჯნაზე იყო — ლევან ყენიამ 83-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში და პირველი სანაკრებო გოლი მიითვალა, რაც ამ ბიჭზე ნაღდად ალალია.

მაგრამ თავიდან დავიწყოთ: რამდენ კაცს ჰქონდა დებიუტი გუშინ ეროვნულ ნაკრებში — გიორგი ლორია პირველად ჩადგა კარში, ასევე დებიუტი ჰქონდათ უჩა ლობჟანიძეს, გიორგი ნავალოვსკის, ირაკლი კლიმიაშვილს. რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ მოირგეს ეროვნულის მაისურა რატი ალექსიძემ და დავით ოდიკაძემ, კიდევ ერთი დებიუტანტი კი, სათადარიგოთა სკამთან იდგა და ჩვეული ემოციურობით ხელმძღვანელობდა გუნდს: პეტარ სეგრტი.

ხორვატ სპეციალისტს ტალინური 1:1 ვერც წარმატებაში ჩაეთვლება და ალბათ, ვერც მის საფირმო სიტყვა „კატასტროფაში". ისე კი, შევატყვეთ, გუშინდელი ნაკრები უფრო ჟინიანი და შეტევაში მეტად მწვავე იყო, ვიდრე წინა მატჩებში.

თამაშის წინ ქვეყნის ჰიმნები როკ-ჯგუფმა აამღერა, რაც, ცოტა არ იყოს, იშვიათობაა. ქართველებს ნაკრების ექიმ გოგიტა ლობჟანიძის გარდაცვალების გამო შავი ლენტი ეკეთათ მაისურაზე...

„ა ლე კოქ არენის" მინდორი გახრიოკებული იყო, რაც ფეხბურთელებს სწრაფ კომბინაციებში და ბურთის გათამაშებაში ხელს უშლიდა, ზოგჯერ პატარა მანძილზე პასის მიცემისას ცდებოდნენ. თუმც შეცდომაზე მეტი იყო მალხაზ ასათიანის პასი, რომელმაც კრისტიან ვიიკმაიე ლორიასთან მარტო დატოვა და ეტყობოდა, ესტონელი აშკარად არ ელოდა საჩუქარს — ბურთს წაუცაცუნა და ლორიამ იოლად აიღო.

ასათიან-ხიზანიშვილის ცენტრალური დაცვის ტანდემი ძალიან ბევრს ცდებოდა, მათმა არასწორად შერჩეულმა პოზიციამ მასპინძლებს კიდევ გაუხსნა ხელ-ფეხი — ერთ-ერთი ასეთი შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვნახეთ, როცა ატს პურიეს ვერავინ შეუშალა ხელი, ახლოდან თავზე გადაეგდო ბურთი ლორიასთვის. თბილისის „დინამოს" მეკარემ კარგი რეაქცია გამოაჩინა, ბურთი გამოაგდო კარიდან.

მთლად ასეთი უეჭველი არა, მაგრამ გასატანი ქართველებსაც ჰქონდათ. მატჩს უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმა ალექსანდრე იაშვილმა ჯერ რატი ალექსიძეს უპასა და მისი დარტყმა ხელებში გააშეშა ესტონელთა მეკარე პაველ ლონდაკმა. მერე კი ისევ „იაშკა" შეიჭრა მარჯვნიდან მეტოქის საჯარიმოში და დავით კვირკველიას კანფეტივით პასი მისცა, თუმცა მან მძლავრად ვერ დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და მომენტი ჩაიფუშა. მერე იყო ხიზანიშვილის თავური, როდესაც ბურთი ზემოდან დაეცა მასპინძელთა კარის ხარიხას, თუმც მეკარეც აკონტროლებდა სიტუაციას.

ქართველ ნახევარმცველებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ და აშკარად ჩანდა, გუნდს ნომინალური საყრდენი აკლდა. ლევან ცქიტიშვილი და ლევან კობიაშვილი თან შეტევების ჩაშლას და თან წინ წასვლას ვერ ახერხებდნენ. „კობი" უფრო შესამჩნევი იყო, გაცილებით მეტს აქტიურობდა... რაც შეეხებათ ფლანგელებს, ვერც კვირკველია იყო მწვავე და, მით უმეტეს, ვერც ოდიკაძე.

პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთში ქართველთა მცირე უპირატესობა იყო და ასე გაგრძელდა შესვენების შემდეგაც. იაშვილის შეჩერება სულ უფრო უძნელდებოდათ მასპინძლებს — აი, კარლსრუელმა ერთწუთიან მონაკვეთში ჯერ ხარიხას მოარტყა (მეკარისგან ასხლეტით) შორეული დარტყმით, მერე კი მცველებს ჩაურბინა და მეკარემ დაასწრო, კარი ცარიელი დარჩა და კვირკველიას შეეძლო ესროგებლა, თუმც უხეიროდ დაარტყა.

64-ე წუთზე კი სეგრტის გუნდმა გოლი გაუშვა: ესტონელებმა ჯარიმა ჩააწოდეს შორეულ ძელთან, სადაც ლობჟანიძემ რაიმო პიირიოიას დაქაჩა და პენალტი. ტარმო კინკმა ლორია უშანსოდ დატოვა და 1:0.

ეს იყო და, ჯერ კიდევ პენალტამდე მინდორზე შესული ყენია გააქტიურდა, კარგად იჭერდა ბურთს და რამდენჯერმე ჩაუდრიბლინგა კიდეც მასპინძლებს. იაშვილს ამყოლი გამოუჩნდა. სეგრტმა წაგება რომ იყნოსა, ბექა გოცირიძე და ირაკლი კლიმიაშვილიც ჩართო თამაშში.

ბექას უნდა გაეთანაბრებინა კიდეც, ყენიას ჩაწოდებულს თავი ისე დაჰკრა, ხელს არავინ უშლიდა, თუმც ააცილა. ამ მომენტიდან ორ წუთში კი 1:1 გახდა: შეტევა ნავალოვსკიმ დაიწყო, იაშვილს უპასა, რომელმაც ერთი შეხებით ეფექტურად გაუჭრა ბურთი ყენიას და საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ლევანმაც შორეულ კუთხეში ბილიარდის სიზუსტით შეასრიალა კარში.

დარჩენილ დროში ქართველები უფრო ცდილობდნენ მოგებას, თუმც კინაღამ აქეთ გაუშვეს გოლი: ზაჰოვაიკომ 6-7 მეტრიდან ისე დაარტყა და ააცილა, მცველები ვერც გაერკვნენ.

ჩვენ კი სწორედ ის მოგვეწონა, რაც წინა აბზაცის პირველ წინადადებაში ვთქვით: კარგია, რომ ფეხბურთელები ესტონეთთან ფრეს უკადრის შედეგად მიიჩნევდნენ და უტევდნენ, ცუდი კი ის შეცდომებია, რაც გუშინდელ მატჩში მრავლად იყო...

ტალინი. 27 მაისი. 19 საათი. ა ლე კოქ არენა. 2 500 მაყურებელი

ესტონეთი 1:1 საქართველო

1:0 კინკი (64ჯ), 1:1 ყენია (83)

ესტონეთი	საქართველო
ლონდაკი, შიშოვი, ბარანგრუბი, პიირიოია, კლავანი, ანოსტე (ვუნკი 57), დმიტრიევი, კინკი, პურიე (ლინდპერე 58), სააგი (ზაჰოვაიკო 46), ვიიკმაიე (როობა 71)	ლორია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, ნავალოვსკი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ოდიკაძე (ბ. გოცირიძე 68), კვირკველია (კლიმიაშვილი 76), ა. იაშვილი (მუჯირი 90), ალექსიძე (ყენია 61)
სათადარიგონი: აკსალუ; რანი, მოროზოვი	სათადარიგონი: ლომაია; დევდარიანი, სანაია
მწვრთნელი: ტარმო რუუტლი	მწვრთნელი: პეტარ სეგრტი

მაფრთხილებელი: კობიაშვილი (64), შიშოვი (72), ხიზანიშვილი (38) ლობჟანიძე (90)

მსაჯები: ტ. ვეილგაარდი; პ. უდსენი, ჰ. მალმბერგი; ი. როოსი (ყველა დანია)

პრესკონფერენცია

ნამატჩევ პრესკონფერენციაზე, პეტარ სეგრტი თამაშითა და შედეგით უკმაყოფილოც არ იყო. არაერთხელ მითქვამს, ეს ფეხბურთია, და ყოველთვის ვერ მოიგებო. შემადგენლობაზე თქვა, თამაში ახალგაზრდული ნაკრების სამი ფეხბურთელით დავიწყე (გიორგი ლორია, გიორგი ნავალოვსკი, უჩა ლობჟანიძე) და ექვსით ჩავამთავრეო (ბექა გოცირიძე, ირაკლი კლიმიაშვილი, ლევან ყენია).

ამის მერე სეგრტმა ჟურნალისტებს შეახსენა, ეს ნაკრები ერთგვარი ნაზავია გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელებისო. გამოცდილთაგან ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილი და ბუნდესლიგელები, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ახსენა, მათთან ერთად კი კახა კალაძეც მოიხსენია. ახალგაზრდებზე კი თქვა, ამ მატჩმაც აჩვენა, ძალიან კარგი თაობა რომ მოდის და მათი იმედი უნდა გვქონდესო.

კითხვა, საესტონეთო შემადგენლობიდან ვის ათამაშებს სეგრტი და ვის არა პორტუგალიასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, უპასუხოდ დარჩა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე სანდრო ცნობილაძემ გვითხრა, პორტუგალიაში ოთხშაბათს საღამოს მივფრინავთ, დილით კი ნაკრებს აღდგენითი ვარჯიში ექნებაო.

ასეთი მინდვრები არსად მინახავს

ბუბა დოლიძაშვილის ფოტო

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამოსარჩევი ფეხბურთელები თითზე ჩამოსათვლელები არიან. ერთ-ერთი მათგანი „ზესტაფონის“ მცველი ედიკ საჯაიაა, რომელიც „სარბიელმა“ ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. საჯაიამ „ზესტაფონში“ მეორე სეზონი მოიღია, მანამდე სხვა ქართულ კლუბებშიც უთამაშია, თუმც მის კარიერაში უცხოური კლუბებიც ყოფილა — მოსკოვის „ტორპედო“, ტულის „არსენალი“... მცირე დრო შოტლანდიურ „დანდიშიც“ გაატარა, თუმც იქიდან მალევე წამოვიდა. საჯაიას გუშინ შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...

— დიდი მადლობა „სარბიელს“, ძალიან მესიამოვნა.

— როგორ შეაფასებდი განვლილ სეზონში საკუთარ თამაშს?

— ჩემს თავზე ვერაფერს განსაკუთრებულს ვიტყვით. ვფიქრობ, ნორმალურად, საშუალო დონეზე ვითამაშე.

— გუნდის თამაშზე რას იტყვი?

— გუნდის თამაშს დადებითად, უფრო დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. საქართველოს თასის მოგებით უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ, ჩემპიონატში მესამეზე გავედით, თუმც, ვფიქრობ, მეტიც შეგვეძლო.

— და რამ შეგიშალათ ხელი უკეთესი შედეგის მიღწევაში?

— პირადად მე „მთავარ დამნაშავედ“ მაინც მინდვრის საფარს მივიჩნევ.

— ეგ დიდი პრობლემაა, მაგრამ თქვენი მეტოქეებიც ხომ იგივე სტადიონებზე თამაშობდნენ?

— კი, მაგრამ გააჩნია, ვინ როგორ არის შეგუებული. ნორმალურ საფარზე არც ერთ ძლიერ მეტოქესთან არ წაგვიგია, ქულებიც სწორედ ისეთ საფარზე დავკარგეთ, სადაც თამაში შეუძლებელია, თანაც ისეთ გუნდებთან, რომელთანაც ქულები არ უნდა გაფლანგო. საქართველოში რომ მინდვრებია, ასეთი არსად მინახავს. ერთხელ დისკვალიფიკაციის გამო უმაღლესი ლიგის თამაში გამოვტოვე და „ზესტაფონი 2“-ში ვითამაშე პირველ ლიგაში. ჭიათურაში გვქონდა თამაში. ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში გადმოვიდა, მაგრამ იქ ისეთი მინდორია, თამაში საერთოდ არ უნდა ტარდებოდეს. არანაკლები სიტუაციაა ბათუმში და ბევრ სხვა ადგილას.

— ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი, როგორ იყო უცხოეთში შენს წასვლამდე და ჩამოსვლის შემდეგ?

— ჩემი აზრით, საქართველოში ჩემპიონატი მაშინ უფრო ძლიერი იყო.

— და რამ გამოიწვია დონის დაცემა?

— ყველაფერმა. იგივე საფარის უვარგისობამ, მოუმზადებლობამ, პირობებმა... ახალგაზრდა ფეხბურთელებს თვალი გაქცევაზე უჭირავთ, 25 წლის შემდეგ ვეტერანი ხარ და შენც გაქცევაზე ფიქრობ. ჩვენი ჩემპიონატი თანდათან ბავშვთა ფეხბურთს ემსგავსება. ფინანსურად უარესი მდგომარეობაა, ორი-სამი გუნდის გარდა ყველას უჭირს. კლუბებს ბაზები არ აქვთ, ვარჯიშის შემდეგ პირდაპირ სახლში უწევთ წასვლა. ამიტომაც ყველა გაქცევაზეა. აქ ბავშვების ამარა ვრჩებით და ამიტომ გვაქვს ევროპაში ცუდი შედეგები — ბავშვები იქ კაცებს ეთამაშებიან და პირწმინდად აგებენ.

— როგორ ფიქრობ, საქართველოდან ფეხბურთელების გადინების საწინააღმდეგოდ რა უნდა გაკეთდეს?

— სადღეისოდ ყველაფერი გასაკეთებელია. ელემენტარული პირობები არ არის. ამის გამო მიდიან უცხოეთში და ვერც გაამტყუნებ.

— ისე საუბრობ, შენც წასვლაზე ხომ არ ფიქრობ?

— „ზესტაფონთან“ კონტრაქტი აგვისტომდე მაქვს. ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტს შევხვდები და ჩვენს მომავალზე დაველაპარაკები. სავარაუდოდ, „ზესტაფონში“ დავრჩები.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრი კეთილაძის ფოტო

დიმიტრი სანაკოევმა ძალიან გაიხარა

მამუკა ღონღაძე: მომავალ სეზონში ხუთეული გვინდა

საქართველოს მე-19 ეროვნულ ჩემპიონატში ცხინვალის „სპარტაკი“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იყო. ამიტომაც გაუჭირდათ კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს ელიტაში ადგილის შენარჩუნება, თუმც იმავე ახალგაზრდული ჟინის ხარჯზე, პლეი ოფამდე მიაღწიეს და მიზნის მისაღწევად „გაგრის“ (1:0) დამარცხება შეძლეს. გაგრელებთან მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული „სპარტაკის“ თავდამსხმელი მამუკა ღონღაძე იყო. აკი, სწორედ მისი გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი ამ მატჩში. საერთოდაც, „კანუ“ ძალიან აქტიურად ირჯებოდა და „გაგრას“ არაერთი პრობლემა შეუქმნა, გოლიც კარგი გამოუვიდა — მოხდენილი ფინტით მეკარე და მცველი მოიშორა და ცარიელ კარში გატანა აღარ გასჭირვებია...

— „გაგრასთან“ მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო — ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვიდექით. არ გვინდოდა, მთელი სეზონის ნაშრომი წყალში ჩაყრილიყო. მიხარია, რომ გამარჯვება შევძელით და უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ. თამაში მძიმე გამოდგა და, შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა.

— გაგვიმართლაო, ამბობ, თუმც, საერთო აზრით, გამარჯვებას „სპარტაკი“ იმსახურებდა...

— „გაგრა“ ჩვენზე ახალგაზრდული გუნდია და უფრო „გამოცდილებით“ ვაჯობეთ, მომენტებიც მეტი გვქონდა... ისიც უნდა ითქვას, რომ გაგრელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და ამ დროს დაცვაში დიდი ყურადღებაა საჭირო. ძნელია, ასეთ ვითარებაში ბოლომდე ყურადღებიანი იყო, ამიტომაც ვამბობ, გაგვიმართლაო.

— არადა, მთელი სეზონი დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობდით, თითქოს არ უნდა გაგჭირვებოდათ...

— შუა სეზონში დაშვებული შეცდომა, შესაძლოა, გამოსწორდეს, მაგრამ ასეთ პრინციპულ მატჩში ამის უფლება არ გვქონდა. რაც შეეხება ჩვენს დაცვით თამაშს, მწვრთნელმა ალბათ სწორად გათვალა — ახალგაზრდული ასაკის გამო გაუთვალისწინებელ რისკზე წასვლას შეიძლებოდა, ცუდი შედეგი მოჰყოლოდა.

— გადამწყვეტი გოლი შენი აღმოჩნდა. როგორ გაიხსენებ იმ მომენტს?

— ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი აქამდე არ მითამაშია და ძალიან გახარებული ვარ, რომ პრინციპულ შეხვედრაში გუნდს დავეხმარე. ვფიქრობ, გოლიც ლამაზი გამოვიდა.

— სეზონი უკვე დასრულდა. „სპარტაკთან“ კონტრაქტი კიდევ გაკავშირებს?

— ექვსი თვე დამრჩა, ასეა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი. ზოგსაც ერთწლიანი კონტრაქტი აქვს... მხოლოდ ორი-სამი მოთამაშე თუ იქნება, ვისაც ხელშეკრულება ამოეწურა.

— გამოდის, მომავალი სეზონისთვის „სპარტაკის“ ძირითადი ბირთვი იგივე იქნება...

— კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი ძალიან გახარებულია, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ. სამომავლოდ სერიოზულ დახმარებას გვპირდება და სურს, ისეთი შევსება მივიღოთ, რომ გუნდს ხუთეულში შესვლის შანსი ჰქონდეს. ამ მხრივ, სერიოზული მიდგომას აპირებენ.

— დაბოლოს, „კანუ“ როდის შეგარქვეს?

— წყალტუბოში თამაშისას მწვრთნელმა გელა წიქარიშვილმა შეგარქვა — მაღალი ხარ, გრძელფეხება და შავიო...

მიხეილ ჟორჟოლიანი

რა ჰქვია ამას?!

ამასწინათ ერთმა ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა გვითხრა, ნაკრებში როცა ჩამოვდიოდი, მწვრთნელს თუ მოთამაშეებს რაღაცას ჩემი გამოცდილებიდან რომ ვეუბნებოდი და ვეკამათებოდი, ასე მეგონა, წყალს ვნაყავდიო. ისე გამოდიოდა, თითქოს მარტო მე მინდოდა ცუდის კარგით შეცვლა, ზოგჯერ ჩხუბიც მიხდებოდა და როცა მივხვდი, რომ ერთ ყურში შედიოდა და მეორედან გადიოდა, თავი დავანებე მრჩევლობასო.

იმ ფეხბურთელს რომ არ ეთქვა ჩვენთვის (და დარწუნებული ვარ, მართალი გვითხრა), ისედაც ვიცით, რომ ნაკრებში ყველაფერი რიგზე არაა, რაღაცნაირი თვითკმაყოფილების შეგრძნებაა. უკეთესობის სურვილი ჩანს, ქმედება კი — არა.

შეიძლება, ყოველი წაგების შემდეგ თქვა, თამაში არ წაგვივიდაო?! იმ ცნობილმა ფეხბურთელმა ისიც გვითხრა, შევატყვე, რომ მარტო თანაგუნდელებს კი არა, მწვრთნელსაც ხელს ვუშლიდი მუშაობაშიო.

ამ მწვრთნელში კლაუს ტოპმიოლერი იგულისხმება.

ანუ ჩვენ რა გვადარდებს: ის, რომ ნაკრების ფეხბურთელები გულახდილობით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან, გუნდის სატკივარს ხმამაღლა არავინ ამბობს, იციან ეს სატკივარი, მაგრამ მალავენ. არ გვგონია, ნაკრების წარუმატებლობის მიზეზი მარტო ტაქტიკურად განთლებული ფეხბურთელების უკმარისობა და უიღბლობა იყოს. ერთი რომ, თანაგუნდელებზე იმის თქმა, ტაქტიკურად გაუნათლებლები არიანო, ხელის შეხოცვას ჰგავს, რადგან საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს იშვიათად თამაშობდნენ ფეხბურთელები, რომლებიც უკრაინაზე სუსტ ჩემპიონატში ირიცხებიან. არ გვგონია, რუსეთის პრემიერლიგის პირველადგილოსან „რუბინში“ და თუნდაც სხვა, ასე თუ ისე ძლიერ, ჰოსტსაბჭოურ კლუბში ჩვენიანებს ლამაზი თვალების გამო ათამაშებდნენ.

ან გაიხსენეთ, სანამ კლაუს ტოპმიოლერი ნაკრების თავკაცი იყო, რომელი ფეხბურთელისგან გაიგონებდით, სიმკაცრე არ აქვსო. წავიდა ტოპმიოლერი და ახლა უკვე ბევრმა გაამახვილა ყურადღება მის სირბილეზე. იბადება კითხვა — რატომ? ალბათ იმიტომ, რომ არ აწყობს ამა თუ იმ ფეხბურთელს მკაცრი მწვრთნელი. ზოგს სწორედ ასეთი მწვრთნელი უნდა, მაგრამ თანაგუნდელების რიდი აქვს, ვერ იტყვის თავის გულისნადებს.

ასეთი უსაშველო რა არის, რომ ნაკრებში ყველაფერი ცუდი მიმალულ-მიჩქმალული არ იყოს. პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო და როცა თონეში ჩაუვარდება, თვითონ უნდა იქექოს ნაცარში და ამოიღოს. როცა გუნდში ერთიანი სულია და ყველა ხედავს, რომ მწვრთნელიც მუშაობს და ფეხბურთელებიც მონდომებულები არიან, შედეგის მიღწევის ალბათობა გაცილებით დიდი იქნება. მეორეც, უიღბლობაო? არავითარი „უიღბლობა“ არ ურევია ლატვიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან წაგებებს.

ხოლო ის ფეხბურთელი, რომელიც დანიასთან 1:6 წაგების და ყაზახეთთან 0:0-ის შემდეგ მწვრთნელის შეცვლას უსაფუძვლოდ მიიჩნევს და ამბობს, ნაკრებში ყველაფერი რიგზეაო, თქვენ განსაჯეთ, ლიდერი ჰქვია?

ილია ნანოგაშვილი

83 წლის დინამო 50-წლიანი ჩანს

რა შუაშია ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო

8 უფრო დიდხანს ელოდნენ ფიფა

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაარსებიდან 19 სეზონი მიილია. ეს დამოუკიდებლობის გამოცხადების მერე — იქამდე კი, საბჭოთა ეპოქაში საქართველოს სსრ ჩემპიონატი 53-ჯერ ჩატარდა. პირველი ჩემპიონი, 1927 წელს ბათუმის ნაკრები გახდა, ბოლო კი, 1989-ში, წყალტუბოს „შადრევანი-83“.

სხვადასხვა წლებში საქართველოს ჩემპიონები ისეთი გუნდებიც გამხდარან, მათი სახელები დღეს ღიმილს რომ მოგგვრით. მაგალითად, „ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო“, ან „წითელი არმიის სახლი“... თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, რომელსაც „სარბიელი“ ამ დღეებში მიუბრუნდება, აქ კი ეროვნულ ჩემპიონატზე ვთქვათ.

უამრავ ქვეყანაში ჩემპიონატების საერთო ცხრილის შედგენა მიღებული პრაქტიკაა. პრაქტიკული მნიშვნელობა ამას არ აქვს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, საინტერესოა.

ქართულ ჯამურ ცხრილში აღმოვაჩინეთ, რომ 19 სეზონის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 46 გუნდს უთამაშია (ზოგს სხვადასხვა სახელით). სამწუხარო კი ის არის, რომ მათი ნაწილი დღეს აღარც არსებობს, ან თუ შემორჩა, სულს ღაფავს. რომელი ერთი გავიხსენოთ: თუნდაც ლანჩხუთის „გურია“ და სოხუმის „ცხუმი“ — საქართველოს თასის პირველი ფინალის მონაწილენი...

ცხრილის თავსა და ბოლოში ისეთი ვითარებაა, წარმოუდგენლად ჩანს, ოდესმე შეიცვალოს. თბილისის „დინამოს“ დამწვევი, მომდევნო 50 წელიწადში მაინც, ვფიქრობთ, არ გამოჩნდება, ხოლო ცხინვალის „ლიახვის“ ანტირეკორდის მოხსნა, უბრალოდ, შეუძლებელია.

და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ერთი წლის მერე, როცა ამ ცხრილს 2008-09 წლების სეზონის ქულებიც მიემატება? პირველ რიგში ის, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მეოთხე ადგილამდე აღზევების კარგი შანსი აქვს. „ოლიმპი“ უეჭველად გადაუსწრებს გორის „დილას“, ხოლო „ზესტაფონი“ ზესტაფონის „მარგვეთს“. წინ წაიწევს „ამერი“ და „ბორჯომიც“.

ახლა, მოდით, ცხრილს სხვა კუთხით შევხედოთ. ადგილების განაწილება დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, რომელ გუნდს რამდენი სეზონი აქვს გატარებული უმაღლეს ლიგაში. ამ მხრივ „ახალგაზრდა“ გუნდები იჩაგრებიან. ჰოდა, ახლა ის დავითვალოთ, რომელი გუნდი სეზონში საშუალოდ რამდენ ქულას აგროვებს. გამოანგარიშება ძნელი არ არის: ქულების საერთო რაოდენობას სეზონების რაოდენობაზე ვყოფთ და...

საუკეთესოთა 21-ეული ასე გამოიყურება:

1	„დინამო“ თბილისი	72
2	„ტორპედო“ ქუთაისი	54
	„ვიტ ჯორჯია“ თბილისი	54
4	„ამერი“ თბილისი	51
5	„ლოკომოტივი“ თბილისი	50
6	„ოლიმპი“ რუსთავი	48
	„ზესტაფონი“	48
8	„ბათუმი“	46
	„ალაზანი“ გურჯაანი	46
10	„ცხუმი“ სოხუმი	45
11	„გორდა“ რუსთავი	44
12	„საპოვნელა“ თერჯოლა	43
13	„მარგვეთი“ ზესტაფონი	42
14	„სიონი“ ბოლნისი	41
	„მცხეთა-ურიონი“ მცხეთა	41
16	„კოლხეთი“ ფოთი	40
	„სამტრედია“	40
	„ბორჯომი“	40
19	თსუ თბილისი	39
	„ოდიში“ ზუგდიდი	39
	„მესხეთი“ ახალციხე	39

აქაც „დინამოს“ კარგა ხანს ვერავინ შეეცილება პირველობაში.

გიორგი დარჯანია

ა	გ	ჩ	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	**დინამო** თბილისი	19	585	427	88	70	1553:441	1369
2	**ტორპედო** ქუთაისი	18	553	292	100	161	1111:648	976
3	**დინამო** ბათუმი	19	580	252	124	204	874:637	880
4	**კოლხეთი** ფოთი	17	527	250	95	182	828:641	845
5	**გორდა** რუსთავი	14	435	181	76	178	680:612	619
6	**ვიტ ჯორჯია** თბილისი	11	335	169	84	82	484:286	591
7	**დილა** გორი	18	554	166	90	298	618:928	588
8	**ოლიმპი** რუსთავი *	12	365	165	83	117	496:382	578
9	**ლოკომოტივი** თბილისი	11	334	159	78	97	449:308	555
10	**სიონი** ბოლნისი	13	398	155	68	174	472:542	533
11	**თსუ** თბილისი **	12	373	134	70	169	510:571	472
12	**სამტრედია**	11	335	127	58	150	474:539	439
13	**გურია** ლანჩხუთი	11	338	124	45	169	491:657	417
14	**სამგურალი** წყალტუბო	11	333	113	53	167	396:584	392
15	**ოდიში** ზუგდიდი	10	303	117	39	147	470:550	390
16	**მარგვეთი** ზესტაფონი	8	247	98	43	106	397:443	337
17	**ზესტაფონი** ***	6	182	83	37	62	243:220	286
18	**ივერია** ხაშური	7	213	62	31	120	235:416	217
19	**კახეთი** თელავი	7	214	61	28	125	266:471	211
20	**ალაზანი** გურჯაანი	4	125	55	20	50	197:224	185
21	**ცხუმი** სოხუმი	4	123	54	19	50	239:199	181
22	**ამერი** თბილისი	3	82	47	13	22	133:67	154
23	**კოლხეთი** ხობი	4	119	33	25	61	154:208	124
24	**ბორჯომი**	3	82	36	13	33	111:99	121
25	**მზიური** გალი	3	91	33	16	42	125:162	115
26	**ამირანი** ოჩამჩირე	3	91	27	21	43	111:148	102
27	**მერცხალი** ოზურგეთი	4	123	24	22	77	122:248	94
28	**მრეტები** თბილისი	3	106	26	15	65	114:210	93
29	**საპოვნელა** თერჯოლა	2	66	25	11	30	98:122	86
30	**სულორი** ვანი	2	57	19	10	28	82:123	67
31	**მაღაროელი** ჭიათურა	2	66	18	11	37	81:145	65
32	**არსენალი** თბილისი	2	58	14	14	30	55:94	56
33	**სპარტაკი** ცხინვალი	2	47	14	11	32	48:89	53
34	**სპარტაკი** თბილისი	2	62	12	11	39	44:115	47
35	**მერანი** თბილისი	2	52	12	9	31	35:95	45
36	**შუქურა** ქობულეთი	2	30	13	3	14	44:57	42
37	**მცხეთა-ურიონი** მცხეთა	1	33	12	5	16	41:63	41
38	**მესხეთი** ახალციხე	1	26	11	6	9	29:30	39
39	**მგლები** ზუგდიდი	1	26	10	3	13	27:33	33
40	**დურუჯი** ყვარელი	2	60	9	4	47	51:192	31
41	**მილანი** წნორი	1	32	6	8	18	18:54	26
42	**თბილისი**	1	28	6	6	16	33:57	24
43	**ჩიხურა** საჩხერე	1	28	6	6	16	15:47	24
44	**დინამო** სოხუმი	1	30	5	3	22	26:70	18
45	**ეგრისი** სენაკი	1	30	5	2	23	42:90	17
46	**ლიახვი** ცხინვალი	1	34	0	0	34	11:135	0

* — რუსთავის „ოლიმპს“ მითვლილი აქვს თბილისის „მერანი-91“-ის, „მერანი-ოლიმპის“ და სკ „თბილისის“ შედეგები

** — თსუ-ს მითვლილი აქვს თბილისის „შევარდენის“ შედეგები

*** — „ზესტაფონს“ მითვლილი აქვს ზესტაფონის „მეტალურგის“ შედეგები

ფრიად ემოციური სეზონი

2007-08 წლების სეზონი ინგლისში ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული სეზონთაგანი იყოო, გვარწმუნებს გაზეთი „სანი“ და რუბრიკით „ათი ყველაზე“, ბოლო ცხრა თვის ათ ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტს იხსენებს



10. „არსენალმა“ „მილანი“ დასცა

გასულ სეზონში „მეოფეებმა“ რამდენიმეჯერ შთამბეჭდავად გაისროლეს. ასეთი გახლდათ თამაშის ბედის ათი კაცით შემობრუნება „ბოლტონთან“ და ვილიამ გალასის გამარჯვების გოლი „ჩელსისთან“ შეხვედრაში, მაგრამ „სან სიროზე“ გამარჯვების ბადალი ლონდონელებს არაფერი უქნიათ. „ემირატებზე“ უგოლო ფრის შემდეგ „არსენალმა“ მილანში საუცხოო ფეხბურთი ითამაშა და სესკ ფაბრეგასისა და ემანუელ ადებაიორის გვიანი გოლებით ჩინებული გამარჯვება მოიპოვა.

9 ჯარგად, იოლ

საწყალი, მოხუცი მარტინ იოლი. ჰოლანდიელი მწვრთნელი „ტოტენჰემის“ მწვრთნელის თანამდებობაზე მუხლჩაუხრელი ღვრიდა ოფლს, კლუბი კი მის გაშვებასა და ხუანდე რამოსის მოყვანაზე ფიქრობდა. საქმე ის გახლავთ, რომ ლონდონის ამ გუნდმა სეზონი ცუდად დაიწყო და ხალხმაც დიმიტარ ბერბატოვისა და კომპანიის ცუდ თამაშში ბრალი იოლს დასდო — ის თანამდებობიდან მოხსნეს.

8. ბარნსლის სათასო თავგადასავალი

„კარდიფმა“ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში თამაში სრულიად დაიმსახურა, მაგრამ სასწაული მაინც „ბარნსლიზეა“. განსაკუთრებით საოცარი „ენფილდზე“ გამარჯვება გახლდათ, „ლივერპულთან“. თან, იმ შეხვედრის პირველი ტაიმი მერსისაიდელებმა მოიგეს, მაგრამ შემდეგ საქმეში ჯადო ჩაერია და სტივ ჰოვარდის მიერ თამაშის მიწურულს გატანილი გოლის წყალობით თასის მეხუთე რაუნდში იორკშირის გუნდმა იძალა. და ვის ეგონა, რომ „ბარნსლი“ ამას არ დასჯერდებოდა და უფრო შორსაც წავიდოდა? — ლივერპულელთა დაფრენის შემდეგ, თურმე, ნუ იტყვით და, „ჩელსის“ ჯერი ყოფილა.

7 „ფულემის“ სასწაული

როდესაც „მანჩესტერ სიტისთან“ თამაშის შესვენებისას ორი ბურთით ჩამორჩენილი „ფულემის“ ფეხბურთელები გასახდელში შევიდნენ, მათთვის ნათელი იყო, რომ ისინი პრემიერლიგიდან ვარდებოდნენ, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი მათ სასიკეთოდ შემოტრიალდა — 3:2. ეს იყო და ეს, ლონდონელებმა თავი მაღლა ასწიეს და წარმატებები ერთმანეთს მიაყოლეს. რაც შეეხება გადარჩენას, ეს ოფიციალურად ბოლო ტურში, „პორტსმუთთან“ შეხვედრის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე გაფორმდა. გოლი დენი მერფიმ შეაგდო.

6. ედუარდო საშინლად დაშავდა

გახორვატებული ბრაზილიელი ედუარდო ის-ის იყო, „არსენალში“ ფეხს იკიდებდა, რომ „ბირმინგემთან“ შეხვედრაში საშინლად დაშავდა. თავიდან გაჩნდა ეჭვი, რომ მის წინააღმდეგ ასე დაუნდობლად მარტინ ტეილორმა განზრახ ითამაშა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, თუმცა, ამით ედუარდოს, აბა, რა უნდა შველებოდა? მისი კარიერა რეალური საფრთხის ქვეშ იდგა.

5. ზეადამიანური საჯარიმო დარტყმა

სეზონის უმფავრესი ვარსკვლავი უდავოდ კრიშტიანუ რონალდუ იყო. პორტუგალიელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩემპიონობისა და ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფის სულისჩამდგმელი გახლდათ, ხოლო სეზონი 42 გოლით ჩაამთავრა. გასულ სეზონში რონალდუმ ბევრი ნაირნაირი გოლი გაიტანა — თავური რომში, ჰეთ-თრიკი „ნიუკასლთან“... მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც „პორტსმუთის“ კარში გატანილი საჯარიმო დარტყმა გახლდათ.

4. მესიის დაბრუნება

„ნიუკასლის“ სტანდარტითაც კი, ეს სეზონი კომიკური იყო: ახალი პრეზიდენტის მიყვანილმა ახალმა მწვრთნელმა ძველი პრეზიდენტისა და მწვრთნელის შედეგები ვერ გაუმჯობესეს. შემდეგ, მაიკ ეშლიმ სემ ალარდაისი მოხსნა და ფრიად ხმაურიანი ნაბიჯი გადადგა — გუნდის სათავეში ლეგენდარული კევინ კიგანი დააბრუნა. დაბრუნებულმა კიგანმა არნახულად საშინელი შედეგი აჩვენა და ბოლო დღეებში მის თანამდებობიდან გაშვებაზეც კი იყო ლაპარაკი.

3. მაკლარენი და ქოლგა

ინგლისის ნაკრებმა ევრო 2008-ის შესარჩევში დიდი კოშმარი გადაიტანა და ამის ამსახველი უამრავი დოკუმენტი არსებობს, მაგრამ განსაკუთრებული საშინელება ხორვატების წინააღმდეგ, „უემბლიზე“ თავსხმაში დატრიალდა. თუმცა, აქ იმ თამაშის მსვლელობისა და ანგარიშის გახსენებას არ ვაპირებთ, აქ მთავარი და ისტორიული მწვრთნელის, სტივ მაკლარენის სრულიად ლეგენდარული ქოლგიანი ფოტოა.

2. ჯარგად, მაუ

რად უნდა ლაპარაკი, რომ ჟოზე მაურინიუმ ინგლისურ ფეხბურთში დიდი როლი ითამაშა და ეს როლი „ჩელსიში“ მისი გამოჩენიდან პირველივე დღეს თვალსაჩინო გახლდათ, მაგრამ სექტემბერში ის გაუშვეს და მას მერე ევროპის საფეხბურთო სივრცეში არც გამოჩენილა. ფაქტია: „ჩელსის“ მაურინიუს დარი მწვრთნელი არასდროს ჰყოლია და ეს ლონდონელი ლურჯების ფანებმაც ძალიან კარგად იციან.

1. ტერის ფეხი დაუცდა

კომენტარი ზედმეტია...



მე და ჩემი ლაბადია

ფიოლერმა „ლევერკუზენი“ ლაბადიას ჩააბარა

„ლევერკუზენის“ მწვრთნელად 42 წლის ბრუნო ლაბადია დანიშნეს, რომელმაც მიხეაელ სკიბე შეცვალა. ლაბადია მანამდე სამი წელი „დარმშტადტში“ მუშაობდა, გასულ სეზონში კი „ფიურტს“ თავკაცობდა. „ფიურტმა“ მეორე ბუნდესლიგაში მეექვსე ადგილი დაიკავა.

„ეს ჩემთვის გამოწვევა და წინ გადადგმული ნაბიჯია — თქვა ახალდანიშნულმა პრესკონფერენციაზე — ძალიან მოხარული ვარ, რომ ბუნდესლიგაში მუშაობა მომიწევს“.

დარმშტადტში დაბადებული იტალიელი ემიგრანტების შვილმა კარიერა 1984 წელს ამავე ქალაქის გუნდში დაიწყო, რასაც მოჰყვა „ჰამბურგი“ (1987-88), „კაიზერსლაუტერნი“ (1988-91), „ბაიერნი“ (1991-94), „კიოლნი“ (1994-95), „ვერდერი“ (1995-98), „არმინია“ (998-2001) და „კარლსრუე“ (2001-03).

ბრუნო ლაბადია ფორვარდი იყო და ბუნდესლიგის 229 მატჩში 101 გოლი გაიტანა. ასზე მეტი მიითვალა მეორე ბუნდესლიგაშიც და ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც ორივე ლიგაში ასიანი ზღვარი გადალახა.

„ერთკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ „ფიურტი“ ბრუნო ლაბადიას გაშვებაზე დათანხმდა — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში — მადლობას ვუხდით მწვრთნელს გაწეული სამსახურისთვის და უკეთეს მომავალს ვუსურვებთ“.

შეგახსენებთ, რომ „ლევერკუზენის“ მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი „შალკეს“ ყოფილი თავკაცი მირკო სლომკა იყო.

ვაჟა ხუციშვილი

ბარსამ კეიტა იყიდა

„ბარსელონასთან“ ოთხსეზონიან კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ სეიდუ კეიტა კატალონიური გრანდის სამომავალსეზონო პირველი შენაძენი გახდა. „სევილიას“ აწ უკვე ყოფილი მოთამაშის ხელში ჩასაგდებად „ბარსამ“ კეიტას ძველი კონტრაქტის გამაუქმებელი თანხა, 14 მილიონი ევრო გადაიხადა.

აფრიკელ ნახევარმცველს ამიერიდან „კამპ ნოუზე“ ბურთაობა 2012 წლის 30 ივნისამდე მოუწევს, ხოლო მისი „ბარსელონადან“ ვადაზე ადრე დათხოვნა 90 მილიონ ევროდაა შეფასებული. კეიტა კატალონიელთა მომავალი მწვრთნელის პეპ გვარდიოლას ერთ-ერთი ფავორიტი ფეხბურთელია და კლუბში მისი მოყვანა დეკუს გამო გადაწყვიტეს — პორტუგალიელი, როგორც ცნობილია, აბარგებას აპირებს და ანდერსონ დე სოუზას ნაცვლად მალელ სეიდუს ვიხილავთ მოედანზე.

კატალონიელთა ახალი ფეხბურთელი საიფ კეიტას, აფრიკის 1970 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელის ნათესავია. სეიდუმ თამაში ბამაკოში, ბიმამისის მიერ დაარსებულ საფეხბურთო ცენტრში დაიწყო. 1999 წლის ნიგერიის ოცწლამდელთა მუნდიალზე კეიტამ და მისმა მალიმ მესამე ადგილი აიღეს, ხოლო თავად ამჟამინდელი ბარსელონელი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. სეიდუ კატალონიური კლუბის ისტორიაში პირველი მალელი ფეხბურთელია.

საიფ კეიტას ძმაშვილმა საფრანგეთში 8 სეზონი გაატარა. 1999-ში „ლიონში“ დაიწყო თამაში, შემდეგ ბიძის მაგალითს მიბაძა და „მარსელში“ გადავიდა. „მარსელში“ მაშინ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნაკლებად ენდობოდნენ და ამიტომაც იჯარით „ლორიანში“ გამაგზავნეს“ — ამბობს სეიდუ. „ლორიანი“ მაშინ მეორე დივიზიონში იყო, მაგრამ კეიტამ თავი მაინც გამოიჩინა.

„ლორიანის“ შემდგომ იყო „ლანსში“ გატარებული პერიოდი. 2006-07 წლებში კეიტა ამ გუნდის ლიდერად და მთავარმეგოლედ იქცა. მალელმა 11 გოლი შეაგდო და ფრანგთა ლიგის ნომერ მეორე საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ფლორან მალუდას შემდეგ.

„სევილიაში“ კეიტა როგორც ხუანდე რამოსისთის, ისევე მანოლო ხიმენესისთვის შეუცვლელი ფეხბურთელი იყო. აფრიკელმა 38 მატჩიდან 31-ში ითამაშა, აქედან 29 შემთხვევაში ძირითადში გახლდათ და 4 გოლიც შეაგდო. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული პასპორტი აქვს და კლუბში არაევროკავშირელის ადგილს არ იკავებს, კეიტა 2003-დან მალის ეროვნული გუნდის წევრია. მან „არწივებთან“ ერთად იანვარში ჩატარებულ აფრიკის თასზე ითამაშა.

ლადო ხომერიკი

მუტუ ჯილას მოლოდინშია

ფლორენციის „ფიორენტინაში“ ცვლილებები გრძელდება. გუნდი დატოვა 32 წლის ფაბიო ლივერანიმ, რომელიც კვირის ბოლომდე ალბათ ოფიციალურად ჩაირიცხება „პალერმოში“.

„ფინანსურ დეტალებზე ვერ შევთანხმდით და, შესაბამისად, ახალი კონტრაქტი ვერ გავაფორმეთ. ისლა დაგვრჩენია, მადლობა გადავუხადოთ ფაბიო ლივერანის ორი წლის მანძილზე ჩვენი მაისურით ბრწყინვალე თამაშისთვის და წარმატებები ვუსურვოთ მას, როგორც სპორტულ კარიერაში, ასევე პირად ცხოვრებაში“ — ნათქვამია „იების“ განცხადებაში.

თითქმის გადაწყვეტილია ალბერტო ჯილარდინოს „ფიორენტინაში“ გადასვლა. „მილანთან“ და ფეხბურთელთან მცირე დეტალები დარჩა შესათანხმებელი და მალე ალბათ ყველაფერი მოგვარდება. ეს ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომაც დაადასტურა.

ამ ტრანსფერს მოუთმენლად ელის „იების“ რუმინელი ლიდერი ადრიან მუტუ. მას ჯილარდინოსთან ერთად „ვერონასა“ და „პარმაში“ უთამაშია.

„სამი წელი ვთამაშობდით „პარმაში“, მაგრამ ახლა „ჯილა“ შეცვლილია. ალბერტო უკვე დიდი ხანია, აღარ არის პატარა ბიჭი, რომელსაც ერთი-ორი გოლი გაჰქონდა. შესაძლოა, ბოლო პერიოდში მისი საქმეები სათანადოდ ვერ აეწყო, მაგრამ ჯილადრინო ძალიან გაგვაძლიერებს. მას აქ დიდი ნდობა, ბრწყინვალე ატმოსფერო და საჭირო შემართება დახვდება, რაც აკლდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონზე ვლაპარაკობთ“ — განაცხადა მუტუმ.

კოკი კანდელაკი

რიკარდუ ბეტისს არ ნანობს

პორტუგალიის ნაკრების მეკარე რიკარდუ პერეირამ, რომელიც ამჟამად თავის ეროვნულ გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, განაცხადა, რომ ლისაბონის „სპორტინგის“ ესპანური „ბეტისის“ გამო დატოვებას არ ნანობს. რიკარდუმ კასტო ესპინოსასთან კონკურენცია ბრძოლა წააგო, რის გამოც, შესაძლოა, ზაფხულში კლუბის შეცვლაზე ფიქრიც მოუხდეს, თუმცა პორტუგალიელს „ბეტისი“ შეცდომად მაინც არ ულიარება. „ბეტისში“ გატარებულმა პერიოდმა ჩემზე მხოლოდ სასიკეთოდ იმოქმედა. ახლა ადრინდელზე უკეთეს ფორმაში ვარ“ — განუცხადა გოლკიპერმა „რეკორდის“ ჟურნალისტს.

რიკარდუს პორტუგალიურ ნაკრებში ძირითადობა სურს, თუმცა იცის, რომ ამის გარანტია არ ეძნება: „ნაკრებში ყველანი ვცდილობთ, ჩვენი საქმე, რაც შეიძლება, საუკეთესოდ ვაკეთოთ, თუმც საბოლოო სიტყვა მაინც მწვრთნელს ეკუთვნის“.

ლადო ხომერიკი

პიკე შინ დაბრუნდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ესპანელი მცველი ხერარდ პიკე „ბარსელონამ“ იყიდა და კონტრაქტი 2012 წლამდე გაუფორმა. პიკე „ბარსას“ აკადემიის აღზრდილია და „მანჩესტერმა“ 2004-ში წაიყვანა. 21 წლის მცველმა ალექს ფერგიუსონის გუნდში 23 მატჩი (14-ჯერ — ძირითად შემადგენლობაში) ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. 2006-07 წლების სეზონში პიკე „სარაგოსაში“ იყო განათხოვრებული. მის სანაცვლოდ „ბარსას“ დაახლოებით 10 მილიონი ევრო დასჭირდა, ხოლო პიკეს მყიდველს „ბარსელონასთვის“ ხუთჯერ მეტის გადახდა მოუწევს.

შინავატრა გრანტს ეშაჭრება

„მანჩესტერ სიტის“ პატრონს ტაქსინ შინავატრას გუნდის მწვრთნელად ავრაამ გრანტი სურს. „ქალაქელთა“ თავკაცი სვენ-გორან ერიკსონი სეზონის ბოლოს მოხსნეს და მის შემცვლელს ეძებენ. „სანის“ ცნობით, კანდიდატთა სიაში პირველ ნომრად ავრაამ გრანტი წერია. ტაქსინ შინავატრა გრანტის აგენტ პინი ზაჰავის „ჩელსი“ — „ლივერპულის“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ შეხვედრია და მოლაპარაკება ისევ განახლდა.

ვაჟა ხუციშვილი

ელ ნინიოს ლუისი და ესპანეთი

ფერნანდო ტორესი ევრო 2008-ზე ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იქნება. „ელ ნინიოს“ „ასი“ გაესაუბრა. „ლივერპულისა“ და „ფურია როხას“ მოიერიშე ავსტრია-შვეიცარიაში ესპანელთა გამარჯვების შანსებზე ლაპარაკობს, თუმცა ლუის არაგონესის ნაკრების ტურნირის ფავორიტად წინასწარ დასახელების წინააღმდეგია

— ახალი ევროტურნირი მოდის ახალ იმედებთან და ეჭვებთან ერთად. გულშემატკივრებიც მთლიანად ჩემპიონატზე არიან კონცენტრირებულნი. როგორ ფიქრობთ, ეს აჟიოტაჟი ხალხში ნაკრებზე ყალბი შთაბეჭდილების შექმნას ხომ არ უწყობს ხელს?

— ყალბისა რა გითხრათ, მაგრამ გაზვიადებული მოთხოვნები ნამდვილად არის. ჩემი სურვილი იქნება, ესპანეთის ნაკრებს თავიდანვე ტურნირის ფავორიტის იარლიყს ნუ მიაკრავენ... ფავორიტები არიან მსოფლიოს ჩემპიონი იტალია და საფრანგეთი, რომელმაც მუნდიალზე მეორე ადგილი აიღო. ჩვენც ვამბობთ, რომ ავსტრია-შვეიცარიაში მოსაგებად მივდივართ, მაგრამ წინასწარ ესპანეთის ფავორიტად მონათვლა არ შეიძლება... რატომღაც ტრადიცია დამკვიდრდა ასეთი, ტურნირამდე „როხას“ „თითქმის მოგებულის“ სახელს მიაკერებენ და მერე მთელი ქვეყანა გავალდებულებს, აუცილებლად თასი უნდა მოიგოო. არადა, ამის შანსი ნამდვილად გვაქვს. ეროვნულ გუნდში ახლა შესანიშნავმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი.

— ჩანს, რომ ლუის არაგონესის მიერ ნაცადი 4-1-4-1 სისტემა მოედანზე მხოლოდ ერთი ფორვარდით თამაშს ნიშნავს. ამის შესახებ რას იტყვით?

— ვიტყვი, რომ „ლივერპულის“ თავდასხმაშიც მარტო ვთამაშობ. ჩემთვის სულერთია, შეტევის ხაზზე მარტო ვიქნები, თუ „კომპანიერო“ მეყოლება. ესპანეთის ნაკრებს კარგი შედეგები ჰქონდა. ამ სისტემით მივედით ჩვენს სათამაშო სტილამდე, რაც მწვრთნელს მოსწონს. ამან გაამართლა და გასაგებია, ლუის არაგონესი ცვლილებებს რომ არ აპირებს. ახლა ვნახოთ, გამარჯვებათა სერიას ევროპის ჩემპიონატზეც თუ გავაგრძელებთ.

— ხსენებული სისტემა „ძალიან ესპანურია“ და თანამედროვე ფეხბურთს უპირისპირდება, რაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ვიხილეთ. ინგლისური კლუბების სისწრაფეს წინ პასებით თამაში დაუდგა...

— ეს ფეხბურთის სხვა ტიპია, ძალიან განსხვავებული. გვინდა, რომ ბურთი, ძირითადად, ნახევარდაცვის არეალში ტრიალებდეს და ხშირად უკან დაწეული ნახევარმცველი, ისევე, როგორც თავდამსხმელი, უფრო შეუმჩნეველ, განსაკუთრებულ სამუშაოს ასრულებდეს. ბევრი უნდა იმოძრაო და შენს შანსებს დაელოდო. ძნელია ინგლისური ფეხბურთის სანაკრებოსთან შედარება, რადგანაც „ფურია როხაში“ განსხვავებული ფეხბურთელები თამაშობენ.

— „როხას“ სტილი მოძველებულად ხომ არ გეჩვენებათ?

— თუ „ჩელსისა“ და „მანჩესტერის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე განვლილ გზას გადავხედავთ, ძნელია, ამაში არ დაგეთანხმოთ. ნახევარფინალური ოთხეულიდან სამი გუნდი ძალიან მაღალ ტემპში თამაშობდა, თუმცა იქ ხომ „ბარსელონაც“ იყო. ასე რომ, სტილის მოძველებაზე ლაპარაკი ნაადრევია — მას ჯერ კიდევ შეუძლია შედეგის მოტანა. საერთოდაც, რა არის მოძველებული და რა არა, ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდება.

— ევროჩემპიონატზე განსაკუთრებით ვისი თამაშის ხილვა გსურთ?

— ძალიან მინდა, სესკ ფაბრეგასის თამაში ვნახო და ისიც, იმედია, ნაკრებში ისეთივე შეუდარებელი იქნება, როგორიც „არსენალშია“. სესკი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. ესპანეთმა ჯერ კიდევ არ იცის, რას წარმოადგენს ეს ბიჭი. აი, ნახავთ, თუ ფაბრეგასი ტურნირის ერთ-ერთ სენსაციურ აღმოჩენად არ იქცეს.

— და ნაკრებებიდან რომელი გაინტერესებთ?

— რუმინეთმა გამაკვირვა, თუმცა ამ გუნდს არ გაუმართლა. რუმინელთა ჯგუფში ტურნირის ბობოლები — საფრანგეთი, იტალია და ჰოლანდია არიან, მაგრამ შემდგომ ეტაპზე აღმოსავლეთევროპელები რომ გავიდნენ, არავის გაუკვირდეს.

— ფერნანდო ტორესი იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც სახლთან ერთი თვით განშორება დეპრესიაში აგდებს?

— არა, მსგავსი პრობლემები არ მაწუხებს. „წესით“, გერმანიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც უნდა მომეწყინა, მაგრამ იქ იმხელა სამუშაო გვქონდა გასაკეთებელი, რომ დეპრესიისთვის სად მეცალა... როცა ფეხბურთს ვთამაშობ და ფეხბურთზე ვფიქრობ, სხვა რამეები ნაკლებად მახსენდება ხოლმე. თან ჩემი ოჯახი და საცოლე ავსტრიაში იქნებიან და მათი ხშირად ნახვის საშუალება მექნება. მერე კი არდადეგებითაც ვისიამოვნებ. შესანიშნავი იქნება, თუ არდადეგებზე ევროპის თასით ხელდამშვენებულნი წავალთ.

— ლუის არაგონესთან ამ დაძაბულ თვეს როგორ იტანთ?

— მე ლუისთან ერთად ორი წელიწადი ვიყავი. ვფიქრობ, ხალხს ნაკრების მწვრთნელზე მცდარი წარმოდგენა აქვს. ლუისი საკუთარი თავისა და ფეხბურთელების მიმართ ძალიან მომთხოვნია. „რობას“ თავკაცის წრეგადასულ სიფიცხეზე მთელ ქვეყანაში ლაპარაკობენ, არადა, ის კარგი პიროვნებაა, დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენ ვნახეთ, დონ ლუისი რთული სიტუაციებიდან როგორ გამოდიოდა, საქმეს ერთობლივად ვაგვარებდით და ამის გახსენება ახლა მხნეობას მმატებს. როცა ვიმარჯვებთ, ყველას მადლობას გვეუბნება, ამბობს, რომ მოგება ერთი კაცის ფიესტა ნამდვილად არ არის. არაგონესმა ნაკრების შემადგენლობის გული მოიგო, ყოველთვის ჩვენს მხარეს იყო და ახლა ფეხბურთელთა ჯერიც დადგა, ნდობაზე საქმით უნდა ვუპასუხოთ.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ევრო 2008-ის მსგავს ტურნირებს გუნდი მაშინ იგებს, თუ 6 მატჩს კარგად ატარებს. ბედის ფაქტორიცაა — თუ გაგიმართლა, გინდა დანია იყავი და გინდა საბერძნეთი, მაინც ჩემპიონი ხარ...

— ეს მართლაც ბედის ამბავია. შეიძლება, თანაბარ ჯგუფში რამე შეცდომა დაუშვა და ტურნირსაც გამოეთიშო. აღრე უბრალო რამეებში ვცოდავდით ხოლმე, რისგანაც დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

— ფერნანდო ტორესისთვის ეს პირველი ევროპის ჩემპიონატია ინგლისში გატარებული ერთი წლის შემდეგ...

— დრომ საკმაოდ სწრაფად გაირბინა. ჩავედი უცხო ქვეყანაში, სადაც უნდა მეყიდა სახლი, მანქანა, შემეცვალა ბანკი, ტელეფონი, შემეძინა ავეჯი — მოკლედ, დაკავებული ვიყავი, თან ყოველ სამ დღეში თამაში გვქონდა და დრო როგორ გარბოდა, ვერც ვამჩნევდი.

— თქვენი სტატისტიკა შთამბეჭდავია. პრემიერლიგაში რუუდ ვან ნისტელროის რეკორდი მოხსენით და ინგლისელთა ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტ მეგოლედ იქეცით. „ელ ნინიომ“ „ენფილდზე“ ზედიზედ რვა მატჩში გაიტანა...

— სტატისტიკა წიგნებში რჩება და ლამაზ მოგონებად იქცევა ხოლმე. ფეხბურთელებსაც ეს გვინდა, ჩვენზე მრავალი წელი რომ ილაპარაკონ.

— აღრე პრემიერლიგას თვალს ტელევიზიის მეშვეობით ადევნებდით, თუმცა ფეხბურთის ცქერა სხვაა და ინგლისში თამაში — სულ სხვა...

— ინგლისში განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. პრემიერლიგის თავისებურებების შესახებ გაფრთხილებული ვიყავი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იქაური ტემპი და დაძაბულობა მაინც მაბნევდა. „ჩელსისთან“ ჩემპიონთა ლიგაზე ჩატარებული მატჩები სამაგალითოა — ლონდონელებს მენტალურად და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. მომწონს მოედანზე მათთან ძალების მოსინჯვა, მაშინ კფრო ვძლიერდები. თან ისიც აღმოვაჩინე, რომ ინგლისში საკუთარი კარის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე ესპანეთში, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ იცი, მეტოქე რანაირად თამაშობს, ბურთი ჰაერში იმდენხანს ტრიალებს, ტაქტიკისთვის დრო აღარ გაქვს.

— ნაკრების თემას დავუბრუნდეთ. რაული ლუის არაგონესის ეროვნული გუნდის ყველაზე დიდი დანაკლისია. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— რაული, რა თქმა უნდა, უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ფეხბურთელი. იგი ყველა ესპანელისთვის სამაგალითო იყო და დარჩება. რაული შესანიშნავი სპორტსმენია და არავის უნდა უკვირდეს, ხალხი მასზე გამუდმებით რომ ლაპარაკობს და რეალელს ნაკრებში ითხოვს. როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ნაკრებს მიღმა რჩებოდა, რაულმა მაშინაც კარგი პიროვნული თვისებები გამომჟღავნა და გადაწყვიტა, ეროვნულ გუნდს მხარი დაუჭიროს. ნაკრების ფეხბურთელები მის დაბრუნებას ველით.

— კრიშტიანუ რონალდუს მადრიდის „რეალში“ სავარაუდო გადასვლაზე ამ ბოლოს დროს ხშირად საუბრობენ. თქვენ თუ შეიძენდით პორტუგალიელს სამეფო გუნდისთვის?

— თუ მადრიდი მენდობა, კრიშტიანუში ღირს ფანტასტიკური თანხის გადახდა... ბრწყინვალე ტრანსფერი იქნება „რეალისთვის“.

— თქვენმა ყოფილმა „ატლეტიკომ“ ჩემპიონთა ლიგაში გააღწია. ეს რა შთაბეჭდილებებს გიქმნით?

— კმაყოფილი ვარ, რადგანაც ვხედავ, რომ გუნდი ვითარდება. ბოლო რამდენიმე წელიწადში „ათლეტებმა“ ცხრილის არცთუ სახარბიელო ადგილებიდან საჩემპიონთალიგო ოთხეულში გადაინაცვლეს. ჯერ კიდევ შორია იმ შესანიშნავ გამარჯვებებამდე, რასაც „ატლეტიკო“ იმსახურებს, მაგრამ აქამდეც გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა.

— სხვათა შორის, საჩემპიონთალიგო შესარჩევში მეტოქედ შეიძლება „ატლეტიკოს“ გადაწყდეთ...

— ცუდი იქნება, რადგანაც „ლივერპულსა“ და „ატლეტიკოს“ შორის ერთ-ერთს ტურნირის მიღმა დარჩენა მოუწევს.

მადრიდიდან თურქეთში?

მანიშე „ატლეტიკოდან“ მიდის

მანიშემ უკვე იცის, რომ მომავალ სეზონში მადრიდის „ატლეტიკოში“ აღარ ითამაშებს. პორტუგალიელი ნახევარმცველი ესპანურ კლუბს ეკუთვნის, რომელსაც „ინტერში“ ოჯარით გატარებული პერიოდის (თითქმის არ უთამაშია) შემდეგ უბრუნდება. მანიშეს სატრანსფერო შემოთავაზებებით ინგლისიდან, საფრანგეთიდან და თურქეთიდან ინგლისიდან, საფრანგეთიდან და თურქეთიდან, კერძოდ, „ფენერბაჰჩედან“ მიმართავენ. ფეხბურთელის აგენტი სატრანსფერო წრეებში განთქმული ჟორჟე მენდეშიც თავისიანისთვის საუკეთესო ვარიანტს დაეძებს. შესაძლოა, პორტუგალიელი პრემიერლიგაში დაბრუნდეს (იქ ადრე „ჩელსიში“ თამაშობდა), ან ბედი საფრანგეთში სცადოს, სადაც მთხოვნელები არ აკლია.

„ატლეტიკომ“ მანიშეში თავის დროზე 8 მილიონ ევრო გადაიხადა. „ინტერში“ პორტუგალიელმა 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა, სულ 575 წუთი ითამაშა და 1 გოლი გაიტანა. დღეს „ათლეტები“ ცდილობენ, ფეხბურთელში გადახდილი თანხა მისი სარფიანად გასხვისებით ამოიღონ.

სხვა მოთამაშე, რომელიც გაისად „ვისენტე კალდერონის“ არენაზე აღარ დარჩება, ბერძენი იურკას სეიტარიდისია. ელინს იტალიური კლუბები ეპატიჟებიან, ბრაზილიელ ელერს კი (ვინც ასევე წამსვლელთა სიაშია) — თანამემამულენი. „ატლეტიკოს“ ოკეანისგაღმელი მცველი გაისად ალბათ რომელიმე ძლიერ ბრაზილიურ გუნდში ითამაშებს.

ლუის გარსია და ხოსე ანტონიო რეიესი კი „ბენფიკას“ მოსწონებია. ლისაბონური კლუბი ამათგან ერთ-ერთის შეძენას აპირებს. „ატლეტიკო“ სამომავალსეზონოდ ხსენებულ ფეხბურთელებთან განშორებას არ აპირებს, მაგრამ შემოთავაზება თუ საინტერესო იქნა, რეიესის ან ლუის გარსიას „გაპორტუგალიელებაც“ არ არის გამორიცხული.

ლად ხოდერიძე

დომენეკს ენა დაება

გალასი ფინალს ითხოვს, კუპე — უცხოეთს

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა ეკვადორთან ამხანაგურ მატჩამდე განაცხადა, რომ გაუძნელდება იმ შვიდი ფეხბურთელის ვინაობის გამხელა, რომლებიც 30-კაციან სიას უნდა მოაკლოს.

ფრანგები გუშინ გრენობლში ეკვადორს შეხვდნენ, დღეს კი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელ 23 მოთამაშეს დასახელებს.

„რაც უფრო ნაკლები დრო მრჩება შემადგენლობის გამოსაცხადებლად, მით უფრო მეტად ვორჭოფობ და ვყოყმანობ — თქვა დომენეკმა — ყველანაირი ვარიანტი გადავსინჯე და არ ვიცი, როგორ ვუთხრა იმ შვიდ ფეხბურთელს, რომ ისინი ნაკრებს მიღმა დარჩებიან. მაგრამ რას იზამ, მე მწვრთნელი ვარ და ესეც ჩემი საქმის ნაწილია“.

23 კაცში, სავარაუდოდ, ვერ მოხვდება „მარსელის“ მეკარე სტივ მანდანდა და სამი მცველიდან — მექსესი, სკილაჩი და ბუმსონგი — ორი.

ლასანა დიარა, ალუ დიარა და მატიე ფლამინიც ორი ადგილისთვის იბრძვიან. სამი ნასრის, ჰათემ ბენ არფას, ბატეფიმბი გომისს და ჯიბრილ სისესაც არ აქვთ გარანტირებული ევრო 2008-ზე თამაში.

„ჩელსის“ მცველმა ვილიამ გალასმა კი თქვა, რომ საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში აუცილებლად უნდა გავიდეს. სხვა შედეგს გალასი წარუმატებლობად ჩათვლის.

„ჩვენ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში ვითამაშეთ და ვალდებულები ვართ, ახლაც იმავეს მივაღწიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით რთულია. გუნდში კარგი განწყობაა და ისეთივე ფორმაში ვართ, როგორც ორი წლის წინ გერმანიაში. მართალია, იქ თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ მეოთხედფინალიდან საუცხოოდ ვითამაშეთ“.

35 წლის მეკარე გრეგორი კუპე კი არ გამორიცხავს, რომ ევრო 2008-ის შემდეგ კარიერას დასრულებს. კუპეს „ლიონთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და უკლუბოდაა, თუმც მისი გადაბირება „ტოტენჰემს“ უნდა.

„ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მოსაფიქრებლად საკმაო დრო მექნება. ისე კი, მსურს, ერთი-ორი წელი უცხოურ კლუბში ვითამაშო, მაგალითად, მაგალითად, გერმანიაში ან ესპანეთში. თუ გუნდს ვერ მოვნახავ, კარიერას დავასრულებ“ — განაცხადა მეკარემ.

ვაჟა ხუციშვილი

ლონდონში მინდა!

დიდიე დეშანმა „ჩელსის“ გაძღოლის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, რომელიც დღეს 39 წლისაა, ფეხბურთელობისას ლონდონელი ლურჯების შემადგენლობაში თამაშობდა, შემდეგ კი ხელი მწვრთნელობას მიჰყო და ჯერ (2004 წელს) „მონაკო“ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, შემდეგ კი (2006) „იუვენტუსის“ თავკაცი გახდა. „იუვენტუსიდან“ წამოსვლის შემდეგ დეშანი უმუშევრადაა.

„რომ შემომთავაზონ, „ჩელსის“ გაძღოლაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყი — უთხრა ფრანგმა ჟურნალისტებს — თან, ძალიან მინდა საქმეს დავუბრუნდე. თავიდან ვფიქრობდი, რომ მეტი დასვენება დამჭირდებოდა, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ დიდი საქმეების დატრიალება შემიძლია.

ზოგადად, სამწვრთნელო საქმეში დაბუნება ძნელია, მაგრამ ამწუთას „ჩელსის“ მწვრთნელის თანამდებობა ვაკანტურია და ეს დიდ შესაძლებლობას ხსნის. თან, ხომ ხედავთ, ლონდონელებმა მწვრთნელი ცუდი შედეგების გამო კი არა, თამაშის სტილის გამო მოხსნეს. მათ უნდათ, მომდევნო წლებში უფრო შემტევი და ლაღი ფეხბურთი ითამაშონ“.

პაპუნა კედია

სერხიო გარსია: ჯერ ნაკრები, მერე კლუბი



სერხიო გარსიას „სარაგოსა“ წლეულს სეგუნდადივიზიონში გავარდა, თუმცა თავად არაგონელი ფორვარდი ესპანეთის ნაკრებშია და ევროპის ჩემპიონატის დაწყებას ელოდება. „სამომავლო გეგმებზე ევრო 2008-ის შემდეგ ვიფიქრებ, თუმც კარგი იქნებოდა, კარიერა კვლავ პრიმერადივიზიონში გამეგრძელებინა“ — თქვა სერხიომ „მარკასთან“ საუბარში.

არაგონელს ნაკრების გარდა, დღეს სხვა თემაზე ლაპარაკი არ სურს: „დღეს, უპირველეს ყოვლისა, ესპანეთის ნაკრები მაინტერესებს. როცა ჩემპიონატი დასრულდება, ბუნებრივი იქნება, საკლუბო მომავალზე ზრუნვას თუ დავიწყებ, თუმც ამჟამად ჩემი საზრუნავი ოდენ „ფურია როხა“.

სერხიო ლუის არაგონესმა ქვეყნის მთავარ გუნდში პირველად მიიწვია. „აქ შესანიშნავი ატმოსფეროა, დიდი ჯილდოების მოგების ძალაც შეგვწევს და ვეცდებით, მიზანს თანდათანობით მივუახლოვდეთ. თუ ტურნირის ფინალში გავედით, ძალიან კარგი იქნება“ — განაცხადა გარსიამ.

ლადო ხოფერია

ფიფამ ერაყი მოკვეთა

ფიფამ ერაყი ერთი წლით მოკვეთა. მიზეზი: ქვეყნის ხელისუფალებამ ოლიმპიური კომიტეტის და სპორტის ყველა სახეობის ფედერაციების დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. ფეხბურთის ფედერაციის საქმეში მთავრობის ჩარევა ფიფასგან მუდამ დისკვალიფიკაციით ისჯება და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

თუ ხუთშაბათამდე ერაყის ხელისუფალნი გადაწყვეტილებას არ შეცვლიან, ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ვეღარ ითამაშებს.

გუნდის მწვრთნელმა ადნან ჰამადმა განაცხადა, რომ ფეხბურთელები ფიფას განაჩენით გაოგნებულნი არიან. ერაყელები ამჟამად ტაილანდში ავსტრალიასთან შესარჩევი მატჩისთვის ემზადებიან.

ვალვერდე დაძაბულობას გაექცა

„ესპანიოლის“ მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე ორწლიანი მუშაობის შემდეგ თავისი ნებით წავიდა. ვალვერდე გუნდში 2006-ში მივიდა და 2007 წელს უეფას თასის ფინალში ისე გაიყვანა, რომ ერთი მატჩიც არ წაუგია. კატალონიელები ფინალში „სევილიასთან“ პენალტების სერიაში დამარცხდნენ.

გასული სეზონი „ესპანიოლმა“ კარგად დაიწყო — 19 მატჩიდან მხოლოდ სამი წააგო და ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც უმიზნებდა, მაგრამ მეორე წრე ჩააგდო და მე-12 ადგილზე გავიდა. „გუნდში დაძაბული ვითარება იყო და წასვლა ამიტომ გადავწყვიტე“ — განაცხადა ვალვერდემ.

იორენტე ვილიარეალში

„ვალიადოლიდის“ ფორვარდი ხოსეა იორენტე „ვილიარეალში“ გადავიდა. წინა სეზონში ფეხბურთელმა 36 მატჩში 16 გოლი გაიტანა. „ვილიარეალმა“ იორენტეს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 28 წლის ბასკი „სოსიედადის“ აღზრდილია, სახელი კი „ეიბარში“ გაითქვა, როცა 2004-05-ის სეზონში 17 გოლი მიითვალა. სწორედ „ეიბარიდან“ შეიძინა „ვალიადოლიდმა“, რომლის შემადგენლობაშიც ორ წელიწადში 29 გოლი შეაგდო.

იორენტემდე „ვილიარეალმა“ „ბარსელონიდან“ ბრაზილიელი ედმილსონი ითხოვა.

ჰეიტინგამ მოაწერა

ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის“ მცველი ჯონი ჰეიტინგა მადრიდის „ატლეტიკომ“ გადაიბირა. მის ნაცვლად ამსტერდამელმა კლუბმა 10 მილიონი ევრო მიიღო. მომავალი სეზონისთვის „ატლეტიკოს“ ეს პირველი ტრანსფერია და ფეხბურთელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჰეიტინგას „ატლეტიკოში“ გადასვლა აპრილშივე გადაწყდა, მაგრამ ოფიციალურად ახლა გაფორმდა. ჯონიმ „აიაქსში“ 152 მატჩი ითამაშა, ნაკრებში კი 33.

ჯამპაოლომ სიენა ჩაიბარა

„სიენას“ მწვრთნელად მარკო ჯამპაოლო დანიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს სერია A-ში ადგილი მარიო ბერეტამ შეუნარჩუნა, მას კონტრაქტის გახანგრძლივება არ შესთავაზეს და ჯამპაოლო მიიწვიეს, ვინც სეზონის დასაწყისში „კალიარიდან“ გაათავისუფლეს. „სიენა“ მედიას ახალ მწვრთნელს დღეს ოფიციალურად წარუდგინეს.

ზიდანს პიცურკემ შეუტია

ზინედინ ზიდანმა თქვა, რუმინეთს ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდან გასვლის შანსი არ აქვსო, რაზეც რუმინელთა მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკემ უპასუხა: „ზიდანი ჩემს გუნდს არ იცნობს. მას ფეხბურთთან უშუალო კავშირი აღარ აქვს და მით უმეტეს, რუმინულთან. დარწმუნებული ვარ, დავამტკიცებთ, რომ ზინედინ ზიდანის ვარაუდი მცდარია“.

ვიქტორ პიცურკეს გუნდი შეკრებაზეა მოგოშოაეში და შვეიცარიაში 2 ივნისს გაემგზავრება.

ბარსა ჟუანს უორმაგებს

იტალიური მედიის ცნობით, „რომას“ ბრაზილიელი მცველის ჟუანის ყიდვა „ბარსელონას“ სურს. კატალონიურ კლუბს გაბრიელ მილიტო ჰყავს ტრავმირებული, რომელიც მომავალი სეზონის დასაწყისისთვის ვერ გამოკეთდება და ჟუანი მის შემცვლელად უნდა. „ბარსელონა“ ბრაზილიელს ორჯერ მეტ ჯამაგირს ჰპირდება, ვიდრე „რომაში“ აქვს. ჟუანის ფასი დაახლოებით 10 მილიონ ევროა.

ჰაპენი ვალემმა შეცვალა

„ლანსის“ მწვრთნელი ჟან-პიერ პაპენი მოხსნეს და მის ნაცვლად ჟან-გი ვალემი დანიშნეს. პაპენის ხელში გუნდმა მეთვრამეტე ადგილი დაიკავა და პირველი დივიზიონიდან გავარდა.

ვალემი „ლანსის“ ყოფილი კაპიტანია და „წითელ-ყვითელი“ მაისურით 12 წელი ითამაშა, კარიერა კი 2001-ში, „სენტ-ეტიენში“ დაასრულა. ამ გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი იყო ექვსი თვის განმავლობაში, მერე კი მესამე დივიზიონის კლუბებში მუშაობდა.

ვაჟა ხუციშვილი

ლუკაშ პოდოლსკის თხა ელის

ბუნდესლიგაში აღზევებული „კიოლნის“ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს გუნდში ლუკაშ პოდოლსკის დაბრუნება სურს.

დაუმი უკვე შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობს და ერთ-ერთი სამიზნე გერმანიის ნაკრების ფორვარდია, რომელიც „თხებიდან“ „ბაიერნში“ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა.

ლუკაშ პოდოლსკიმ თავიდან კარგად დაიწყო „ბაიერნში“, მაგრამ მალე უკლო და სათადარიგოდ იქცა. გასულ სეზონშიც ოტმარ ჰიცფელდი შეცვლაზე ათამაშებდა და ფეხბურთელმა ამის გამო არაერთხელ დაიჩივლა.

„თუ კი მცირე შანსი მაინც არსებობს პოდოლსკის გადმოყვანისა, ამ ტრანსფერის მოგვარებას აუცილებლად ვეცდები — თქვა კრისტოფ დაუმმა — მთავარია, მან მოინდომოს, თორემ ფინანსურად მის მადას გავწვდებით. არსებობს ხალხი, რომელიც პოდოლსკის გადმოსაყვანად ფულს არ დაიშურებს. გასაგებია, რომ ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გუნდში მხოლოდ „კიოლნის“ სიყვარულის გამო არ დაბრუნდება. ჩვენ ბუნდესლიგის სატრანსფერო წესებში კარგად გავერკვევით და მხოლოდ ამის შემდეგ, ოფიციალურად დავუკავშირდებით „ბაიერნს“.

ვაჟა ხუციშვილი

მარკო ბორიელოს რეზერვისტობა არ უნდა

გასულ სერია A-ში 19 გოლის გამტანმა მარკო ბორიელომ „მილანს“ შეუთვალა, თუ ჩემს დაბრუნებას დააპირებთ, მაგრამ სათადარიგოს რანგში, მირჩევნია, „ჯენოაში“ დავრჩეო.

„სატრანსფერო ამბებზე და ჩემს მომავალ კლუბზე ჯერ არაფერი ვიცი. ეს ალბათ მალე გაირკვევა. თუ „მილანს“ ჩემი დაბრუნება უნდა, „ჯენოას“ და მის პრეზიდენტს ენრიკო პრეციოზის უნდა დაელაპარაკოს. თუ „როსონერის“ შემოთავაზება ყველასთვის მისაღები იქნება, „სან სიროზე“ სიამოვნებით დავბრუნდები. ოღონდ მეოთხე-მეხუთე ფორვარდად არა, სათადარიგოობას არ ვაპირებ. ასეთი სეზონის მერე მნიშვნელოვან ფეხბურთელად უნდა აღვიქმებოდე და არა რეზერვისტად. „მილანი“ ალბერტო ჯილარდინოს იმიტომ ყიდის, რომ მე ადგილი გამითავისუფლოს და მეტი შანსი მომეცეს? შესაძლოა...“ — თქვა ბორიელომ.

მიუხედავად 24 წლის თავდამსხმელის ამ განცხადებისა, ის არ მალავს, რომ ამ ეტაპზე მაინც „ჯენოაში“ დარჩენა ურჩევნია.

„სიამოვნებით გავაგრძელებდი „ჯენოაში“ თამაშს. აქ ბრწყინვალე ატმოსფეროა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება მაქვს. თუმცა, თუ „მილანი“ კარგ წინადადებებს შემომთავაზებს, ესეც გამახარებს. ცხადია, „როსონერი“ “გრიფონიზე“ დიდი გუნდია და ტიტულებისთვის იბრძვის. კარლო ანჩელოტიმ შეცდომა დაუშვა, როცა ჩემი პოტენციალი სათანადოდ ვერ შეაფასა, მაგრამ ყველაფერში მართალი არც მე ვიყავი. თან კლუბში დიდი კონკურენცია იყო და ახლაც ასეა. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ „მილანის“ მწვრთნელთან ცუდი ურთიერთობა მაქვს. გაუგებრობები დავივიწყებას მიეცა“ — დასძინა ბორიელომ.

ძოკი ძანდელაძე

ტონის ოცნება

იტალიის თასის ფინალში დაშავებული, „რომას“ ნახევარმცველი სიმონე პეროტა კოვერჩანოში „სკუადრა აძურას“ შეუერთდა. ექიმ მარიო ბროცის თქმით, წესით, „რომას“ ნახევარმცველს ტრავმა ხელს არ შეუშლის. სიმონე დროულად მომჯობინდება და ევრო 2008-ზე თამაშს შეძლებს.

აპენინური პრესის ბოლო ინფორმაციით, ის ერთი ფეხბურთელი, რომელსაც რობერტო დონადონი 28 მაისს 24-კაციან სიას მოაკლებს, ალბათ, მაინც ფიორენტინელი რიკარდო მონტოლივო იქნება. თუმცა უღინეზელი ფაბიო კუალიარელა და ჯენოელი მარკო ბორიელოც არ უნდა იყვნენ მშვიდად.

რიკარდო მონტოლივო: „ვარჯიშებზე კვლავ ბოლომდე უნდა დავიხარჯო და ჩემი შემართებით დავამტკიცო, რომ ძალიან მინდა ევრო 2008-ზე მოხვედრა. იმედია, მწვრთნელი კარგად შემაფასებს და ავსტრია-შვეიცარიაში წამიყვანს. თუმცა ვიცი, ეს ძნელი იქნება და დიდი შანსია, საბოლოო განაცხადში ვერ მოვხვდე. ამ შემთხვევაში მატჩების ტელევიზორში ყურება მომიწევს. უკვე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ბრწყინვალე ფეხბურთელებთან ერთად მოვხვდი სიაში. ეს ჩემი კარგი სეზონის დაფასებაა“.

„სკუადრა აძურას“ ცენტრფორვარდი ლუკა ტონი კი ამბობს, რომ ევროპის ჩემპიონატის მოგებაზე ოცნებობს და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

„რამდენიმე წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, 31 წლის ასაკში ნაკრებში ითამაშებო, არ დავიჯერებდი. ძალიან მოტივირებული ვარ და თავს უფრო ძლიერად ვგრძნობ, ვიდრე 2006 წლის მუნდიალზე. „სკუადრა აძურაში“ ჰარმონიული განწყობა და საბრძოლო ატმოსფეროა. საოცრება იქნება, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ევრო 2008-საც მოვიგებთ. ამ ოცნების ასახდენად ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ფანები გავაბედნიეროთ და ისტორიაში კიდევ ერთხელ ჩავწეროთ. პირადად მე 110 პროცენტით დავიხარჯები. შესაძლოა, ეს ჩემი ბოლო ევროპის ჩემპიონატი იყოს და მისი მოგება მინდა“ — თქვა ტონიმ.

მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდმა იტალიის მეტოქეებზე ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე „სკუადრა აძურას“ ჰოლანდიასთან, საფრანგეთსა და რუმინეთთან მოუწევს ჭიდილი: „ურთულესი ჯგუფია. საფრანგეთს მუნდიალის ფინალში შეეხვედით. ჰოლანდია ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია, რუმინეთი კი იმიტომ მოხვდა იქ, რომ ეს დაიმსახურა. ჩემს თანაკლუბელ ფრანკ რიბერის ვუთხარი, იმედია, თქვენთან ჯგუფის მესამე მატჩში ქულები აღარ დაგვჭირდება-მეთქი, ფრანკი გიჟია, მაგრამ დიდი ფეხბურთელია და მატჩების ბედის გადაწყვეტა შეუძლია. იგივე ეხება რუმინელ ადრიან მუტუს, „ფიორენტინაში“ ჩემს ყოფილ თანაგუნდელს. მასთან კონტაქტს ისევ ვინარჩუნებ და იმედია, წარმატებული ევრო 2008 ექნება. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ცხადია, „ბაიერნში“ ვრჩები. უფროსობას ვუთხარი, კარგი იქნება, თუ იტალიელი თანაკლუბელი მეყოლება-მეთქი და ჯენარო გატუზოს ყიდვა სცადეს, მაგრამ... სიამოვნებით მივიღებთ ანდრეა ბარძალისაც. ადრე თუ გვიან, სამშობლოში დავბრუნდები, რადგან მსურს, სერია A-ში 100-გოლიან ნიშნულს მივაღწიო“.

გიორგი ძაძაგაძე



მაურინიუ თუ მანჩინი?

ჩაიარა იტალიის თასის ფინალმაც, რომელშიც „ინტერმა“ „რომასთან“ 1:2 წააგო და დროა, გაირკვეს, რჩება თუ არა „ნერაძურის“ მწვრთნელად რობერტო მანჩინი. თუ „მანჩოს“ აგენტ ჯორჯო დე ჯორჯისს ვენდობით, მისი კლიენტის „სან სიროზე“ დარჩენა სავსებით რეალურია. თუმცა ჯერ უცნობია, შედგა თუ არა შეხვედრა მანჩინისა და „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის შორის.

„რობერტო „ინტერში“ ძალიან ბედნიერია და კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს. მან მიჯრით მესამე სკუდეტო მოიგო და ჩემპიონთა ლიგის მოპოვებაც უნდა. მანჩინის ხშირად „ჩელსისაც“ უკავშირებენ, რომელიც მსოფლიოს ხუთ საუკეთესო კლუბში შედის და ლონდონელებს ფანტასტიკური პრეზიდენტი ჰყავთ. თუმცა ჭორები, თითქოს რობერტოსა და „ჩელსის“ შორის კონტაქტი უკვე იყო და მოლაპარაკებები დაწყებულია, უსაფუძვლოა“ — აღნიშნა დე ჯორჯისმა.

მეორე მხრივ, კვლავ აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, „ინტერის“ ახალი მწვრთნელი „ჩელსის“ ექსთავკაცი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ იქნება, ვინც სეზონში დაახლოებით 7,5 მილიონ ევროს მიიღებსო. „მაუ“ უკვე შეპირებია მილანელთა ხელმძღვანელებს, „სან სიროზე“ ფრენკ ლამპარდისა და დეკუს ჩამოვიყვანო. „ნერაძურის“ დიდიე დროგბასაც უკავშირებენ.

ამასობაში, არგენტინელმა ვალტერ სამუელმა „ინტერთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა, ხოლო 36 წლის მეკარე პაოლო ორლანდონიმ — 2009 წლის ივნისამდე.

ძოკი ძანდელაძე

სარგებელი და კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		28 მაისი						
21:00	299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		აშშ. MLS						
		29 მაისი						
01:30	309	დალასი-ჰიუსტონი	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52
		30 მაისი						
00:30	118	ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი	1.75	3.35	4.25	1.14	1.23	1.87
		ჩილე. აპერტურა						
		29 მაისი						
03:00	295	კოლი კოლო-ევერტონი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		28 მაისი						
21:00	148	რუსეთი-სერბეთი ნ	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
21:00	154	ნორვეგია-ურუგვაი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
23:00	155	ინგლისი-აშშ	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43
23:30	156	ისლანდია-უელსი	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41
19:00	296	საფრანგეთი21-პორტუგალია21	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
22:00	297	შვედეთი21-ჰოლანდია21	2.70	3.10	2.30	1.44	1.24	1.32
22:00	298	გერმანია21-დანია21	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
		29 მაისი						
22:00	157	ჰოლანდია-დანია	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
22:30	158	თურქეთი-ფინეთი ნ	1.67	3.30	4.70	1.10	1.23	1.93
23:00	159	ირლანდია-კოლუმბია	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		30 მაისი						
20:00	160	ლატვია-ესტონეთი	1.50	3.20	4.50	1.02	1.12	1.87
19:30	161	ჩეხეთი-შოტლანდია	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
22:30	162	აუსტრია-მალტა	1.25	4.90	10.00	1.00	1.11	3.28
22:30	163	შვეიცარია-ლიხტენშტეინი	1.06	7.50	18.00	1.00	1.00	5.29
22:45	164	იტალია-ბელგია	1.40	3.70	7.20	1.01	1.17	2.44
		სამხრეთ ამერიკა						
		ლიბერტადორესის თასი						
		29 მაისი						
04:50	294	ბოკა ხუნიორსი-ფლუმინენსე	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		28 მაისი						
22:15	292	ესენი-დიუსელდორფი	1.20	10.00	4.10	1.07	1.00	2.90
		ჩოგბურთი. ქალები Roland Garros						
		28 მაისი						
13:00	275	ვოზნიაცკი-იაკიმოვა				1.05		5.80
13:00	276	ივანოვიჩი-საფაროვა				1.10		4.50
13:00	277	ს უილიამსი-მატ იოჰანსონი				1.05		10.00
13:00	302	ზაკოპალოვა-ლუა				1.10		4.20
13:00	303	კორნე-დულკო				1.35		2.40
13:00	304	ვ უილიამსი-სფარი				1.02		10.00
13:00	305	ცეტკოვსკა-ვოსკობოევა				1.30		2.65
13:00	306	შნიდერი-ბაჩინსკი				1.10		3.80
		ჩოგბურთი. კაცები Roland Garros						
		28 მაისი						
13:00	287	ალმაგრო-დეკუ				1.05		6.00
13:00	288	ჯ ბლეიკი-გულბისი				1.20		3.20
13:00	289	ჯოკოვიჩი-ლოპეს ხაენი				1.01		10.00
13:00	290	ე მიურეი-აკასუსო				1.30		2.30
13:00	291	ნალბანდიანი-ჩარდი				1.03		8.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10148	რუსეთი-სერბეთი ნ	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10154	ნორვეგია-ურუგვაი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10155	ინგლისი-აშშ	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10156	ისლანდია-უელსი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10157	ჰოლანდია-დანია	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10158	თურქეთი-ფინეთი ნ	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10159	ირლანდია-კოლუმბია	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	*X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11148	რუსეთი-სერბეთი ნ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11154	ნორვეგია-ურუგვაი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11155	ინგლისი-აშშ	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11156	ისლანდია-უელსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11157	ჰოლანდია-დანია	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11158	თურქეთი-ფინეთი ნ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11159	ირლანდია-კოლუმბია	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12148	რუსეთი-სერბეთი ნ	1.70	1.90
12154	ნორვეგია-ურუგვაი	1.70	1.90
12155	ინგლისი-აშშ	1.90	1.70
12156	ისლანდია-უელსი	1.70	1.90
12157	ჰოლანდია-დანია	1.90	1.70
12158	თურქეთი-ფინეთი ნ	1.70	1.90
12159	ირლანდია-კოლუმბია	1.70	1.90
12299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	2.00	1.60

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მერ.
13148	რუსეთი-სერბეთი ნ	1.70	1.90
13154	ნორვეგია-ურუგვაი	1.70	1.90
13155	ინგლისი-აშშ	1.70	1.90
13156	ისლანდია-უელსი	1.70	1.90
13157	ჰოლანდია-დანია	1.70	1.90
13158	თურქეთი-ფინეთი ნ	1.70	1.90
13159	ირლანდია-კოლუმბია	1.70	1.90
13299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	1.50	2.10

გოლი:ფსევდონიმი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფსევდონიმად)

17148	რუსეთი-სერბეთი ნ	1.85	1.95
17154	ნორვეგია-ურუგვაი	1.85	1.95
17155	ინგლისი-აშშ	1.85	1.95
17156	ისლანდია-უელსი	1.85	1.95
17157	ჰოლანდია-დანია	1.85	1.95
17158	თურქეთი-ფინეთი ნ	1.85	1.95
17159	ირლანდია-კოლუმბია	1.85	1.95
17299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15148	რუსეთი-სერბეთი ნ	3.00	2.80	2.00
15154	ნორვეგია-ურუგვაი	3.00	2.80	2.00
15155	ინგლისი-აშშ	3.00	2.80	2.00
15156	ისლანდია-უელსი	3.00	2.80	2.00
15157	ჰოლანდია-დანია	3.00	2.80	2.00
15158	თურქეთი-ფინეთი ნ	3.00	2.80	2.00
15159	ირლანდია-კოლუმბია	3.00	2.80	2.00
15299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16148	რუსეთი-სერბეთი ნ	1.23	3.60
16154	ნორვეგია-ურუგვაი	1.50	2.30
16155	ინგლისი-აშშ	1.22	3.40
16156	ისლანდია-უელსი	1.75	1.85
16157	ჰოლანდია-დანია	1.25	3.40
16158	თურქეთი-ფინეთი ნ	1.23	3.60
16159	ირლანდია-კოლუმბია	1.45	2.45
16299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	1.32	3.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზაბეულად ჩაითვლება)

14148	რუსეთი-სერბეთი ნ	1.45	2.40
14154	ნორვეგია-ურუგვაი	1.75	2.10
14155	ინგლისი-აშშ	1.30	2.50
14156	ისლანდია-უელსი	1.85	1.95
14157	ჰოლანდია-დანია	1.45	2.40
14158	თურქეთი-ფინეთი ნ	1.45	2.40
14159	ირლანდია-კოლუმბია	1.75	2.10
14299	სანდსენი-ნიბერგსუნდი	1.65	2.30

შესაძლო ცვლილებები დაუზუსტეთ ადგილზე

მეშვიდე და სამართალი

ჩემპიონებს ბაბიაშვილი გაუხარდათ

5 დღის წინ გაჩემპიონებულ რუსთაველთაგან გამარჯვება ერთ მათგანს განსაკუთრებულად გაუხარდა. როცა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა „ენერჯი-ინვესტის“ წევრებს ოქროს მედლებს ურიგებდა, ზვიად ბაბიაშვილი რომ ჯილდოს მისაღებად იხმეს, მთელმა გუნდმა იხუვლა — „ბაბოს“ ყველამ გამორჩეულად მიულოცა. საქმე ის გახლავთ, რომ ბაბიაშვილი აქამდე არაერთხელ ყოფილა ფინალში და ყოველთვის მარცხდებოდა. „აზოტში“, „სტუ-ჯეოსელში“, „ავიამშენში“ და „ენერჯი-ინვესტშიც“ კი ზვიადს აქამდე 6 ფინალი წაუგია, თუმც წლევანდელი სეზონი მისთვის განსაკუთრებული იყო — როგორც იქნა, ჩემპიონობა დააგემოვნა და ამაში ყველაზე მეტად რუსთაველთა დამრიგებელ დავით უსტიაშვილს ემადლიერება...

— დავით უსტიაშვილმა მითხრა, აუცილებლად ჩემპიონები ვხდებით და წამოდი ჩვენთან, არ მოგბეზრდა ამდენი ვერცხლის მედლებიო. მეც ვენდე და გამიმართლა. როგორც იქნა, ჩემპიონი გავხდი და ძალიან გახარებული ვარ.

— ოქროს მედალი რომ გადმოგცეს, თანაგუნდელებმა ამ დროს განსაკუთრებული ოვაცია მოაწყვეს...

— ჩემპიონობა ყველას ორმაგად გაუხარდა: სათავისოდ და ჩემს მაგივრად. 6 ფინალის წაგებას ალბათ მოხერხება უნდა. ამიტომაც აღნიშნეს ბიჭებმა ჩემი დაჯილდოება გამორჩეულად, რისთვისაც მათი დიდად მადლიერი ვარ.

— ამდენმა წაგებებმა ცრურწმენა ხომ არ მოგგვარა, იქნებ ფიქრობდი, რომ ამ ფინალშიც დამარცხდებოდი?

— არა, პირიქით. ამდენი წაგების შემდეგ ჩემი ჯერიც ხომ უნდა დამდგარიყო. არ შეიძლება, ყოველთვის არ გიმართლებდეს.

— და მაინც, „ენერჯი-ინვესტს“ რომ წაეგო, რას იზამდი?

— ეს დიდი იმედგაცრუება იქნებოდა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ თამაშისთვის თავი დამენებებინა. ჩავთვლიდი, რომ ჩემი კარიერა დათარსულია.

— თან ფინალური სერიის პირველივე მატჩში დამარცხდით...

— მართალია, ჩვენთვის ფინალური სერია ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ ამან ერთგვარი დადებითი მუხტი შეგვძინა. წაგებამ და ბესო ლეჟავას დისკვალიფიკაციამ გაგვაერთიანა, საბრძოლო ჟინი შეგვმატა და მომდევნო მატჩებში ჩვენი რეალური ძალა გამოვაჩინეთ.

— წაგებული 6 ფინალიდან ყველაზე მწარედ რომელი გახსენდება?

— 1998 წელს რუსთავის „აზოტში“ ვთამაშობდი. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა და ფინალურ სერიას 2:0 ვიგებდით, თუმცა „ვითამ“ ზედიზედ 3 თამაში მოგვიგო და... იმის შემდეგ კიდევ არაერთ ფინალში დავმარცხდი, მაგრამ ასეთი სიმწარე არც ერთს არ ხლებია. ახლაც რომ წამეგო, ვფიქრობ, გადაფარავდა „ვითასთან“ 10 წლის წინ განცდილ იმედგაცრუებას.

— ალბათ განსაკუთრებულად აღნიშნე პირველი ჩემპიონობა...

— არა, რადგან ჯერ სეზონი არ დამთავრებულა. 1 ივნისს სუპერთასია, რის შემდეგაც დასვენება გვაქვს და გამარჯვებას მერე ყველა ერთად აღვნიშნავთ.

— სამომავლოდ სად ითამაშებ?

— არ ვიცი, მაგრამ მადა ჭამაში მოდისო, ხომ გაგიგიათ და მეც ისეთ გუნდს შევარჩევ, რომელსაც ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი ექნება.

ირაკლი პერტაია

რუსთაველთა საჩემპიონო დუბლი

რუსთაველმა „ენერჯი-ინვესტმა“ წლეულს საჩემპიონო დუბლი შეასრულა. გასულ კვირას ქვემოქართლელებმა სუპერლიგა მოიგეს, გუშინწინ კი დუბლიორთა ჩემპიონატშიც იმარჯვეს და საქართველოს უძლიერესი გუნდის რეპუტაცია კიდევ უფრო გაიმყარეს.

ახალგაზრდა რუსთაველების მეტოქე თბილისური „მაკაბი“ გახლდათ და დიდებისგან განსხვავებით, დუბლიორთა ფინალური სერია 2 მოგებამდე იყო. პირველ შეხვედრაში ოღლი გამარჯვების შემდეგ ქვემოქართლელებმა გუშინწინ 79:66 დაამარცხეს თბილისელები და ჩემპიონები გახდნენ.

რაც შეეხება მესამე ადგილის მფლობელს, მისი ვინაობა დღეს გამოვლინდება. ბრინჯაოს სერიაში „მართვესა“ და „თბილისს“ შორის ანგარიში 1:1-ია და გადამწყვეტ შეხვედრას ვერის ბაღის საკალათბურთო დაბრაზი უმასპინძლებს.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი

ანტონიო მაკდაიესმა კევინ გარნეტს დაუფარა

ანტონიო მაკდაიესმა დისზე გამოანათა

26 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 2:2 დეტროიტი

დეტროიტი 94:75 ბოსტონი

დეტროიტი: მაკდაიესი (21 ქულა, 16 მოხსნა), ჰამილტონი (20), ვოლესი (14), მაქსეილი (14), ბილაფსი (10)

ბოსტონი: გარნეტი (16 ქულა, 10 მოხსნა), პირსი (16), ალენი (11), პოუზი (11), პერკინსი (10)

„დეტროიტ პისტონზი“ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი გახლავთ, აგერ, ზედიზედ მეექვსედ თამაშობს კონფერენციის ფინალში, მაგრამ მისი მაქებარნი რჩეულ მოთამაშეთა ჩამოთვლისას ყოველთვის ივიწყებენ ვეტერან ფორვარდ ანტონიო მაკდაიესს. ეს დაუღალავი მოთამაშე 2004 წლიდან ყოველთვის ისე ასრულებდა ფარქვეშა შავ სამუშაოს, რომ თვალში არავის ეჩხირებოდა, არც თავისი ქულა-მოხსნების სიუხვით და არც მყვირალა გამონათქვამებით იპყრობდა ყურადღებას.

მაგრამ ახლა მაკდაიესმა ისე გაიბრწყინა, რომ ამ ვარსკვლავებით მოოჭვილი წყვილის ყველა მნათობი დაჩრდილა. ოდესღაც თავადაც ვარსკვლავმა, „დეტროიტში“ კი მუშის როლზე დათანხმებულმა ახალგაზრდობა გაიხსენა (მაშინ ის საშუალოდ 20 ქულაზე და 10 მოხსნაზე მეტი „ღირდა“), 21 ქულით და 16 მოხსნით წლების განმავლობაში საუკეთესო თამაში ჩაატარა და „დეტროიტს“ სერიაში ანგარიში გაათანაბრებინა.

როგორც ჩანს, ბოსტონელები მაკდაიესისგან ასე ბასრ თამაშს არ ელოდნენ და საკუთარი ფარის მისადგომების დაცვისას სამყოფი ყურადღება ვერ მიაქციეს, მანაც თანაგუნდელ რაშიდ ვოლესის პირველ ორქულიანს ზედიზედ ოთხი ზუსტი სროლა მიაყოდა და „დეტროიტს“ 10:0 დააწყებინა თამაში.

მეორე თანრიგის მოწინააღმდეგისგან კალათამოვსებული ბოსტონელები დაბნეულობისგან რომ გამოერკვნენ და ხელი გამოიღეს, უკვე გვიანი იყო. „დეტროიტმა“ სრულად გამოიყენა 10-ქულიანი ფორა და მატჩის ბოლომდე მდევრად ამყოფა „ბოსტონი“, რომელიც პირველი ტაიმის ბოლოს 4 ქულამდე მიუახლოვდა გაქცეულ მეტოქეს, ბოლო მეოთხედის შუაწელს კი რამდენჯერმე 5 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ბოლო წუთებში ისე ჩამორჩა და ისღა დარჩენოდა, ხელი ჩაექნია და ძალები შემდეგი შეხვედრისთვის შეენახა.

„მათ იციან როგორ შეინარჩუნონ სხვაობა, ბოლო წლები მაგის მეტს რას აკეთებენ — ჩიოდა ნამატჩევს „ბოსტონის“ თავკაცი დოკ რივერსი — შეხედეთ, რამდენი საჯარიმო ესროლეთ. ეგ მაგათი სტრატეგიაა: სამწამიანიდან მეტოქეს არ უნდა ასროლინონ. ჩვენ 39 საჯარიმოს სროლა მოგვიხდა. მართალია, მათგან 32 გამოვიყენეთ, მაგრამ ამან მ.ინც შეგვიფერხა შეტევა.“

დეტრიოტელებმა კი ლამის ცაში აიყვანეს მაკდაიესი, ვინაც საწყის წუთებში აფეთქების შემდეგაც მუხასავით შეურყევლად იდგა „დეტროიტის“ სამწამიანში და ბურთს ბურთზე ხსნიდა. კაპიტანმა ჩონსი ბილაფსმა მას წლევანდელ პლეი ოფში გუნდში საუკეთესოც კი უწოდა — რომ ვუყურებთ, რამდენს შრომობს და რამხელა ენერგიას დებს ყოველ მატჩში, ჩვენც ისღა დაგვრჩენია, შრომითვე ამოვუდგეთ გვერდშიო.

თავად 33 წლის ვეტერანმა მოკრძალებით და ამავდროულად საკუთარი ღირსების შეგრძნებით ისაუბრა — „ვიცი, რომ ჩემი შესაძლებლობები შეზღუდულია და ამ ასაკში ვერ გამოვეკიდები ორმაგ დუბლის მკეთებლებს. უკვე არც მაქვს ამისკენ მიზანსწრაფვა. მე დასასრულისკენ მივდივარ, ასე რომ, ისღა დამრჩენია, საკუთარ კარიერას ვალი ბოლომდე მოვუხადო და რაც გამაჩნია, ყველაფერი მოედანზე დავტოვო.“

ვანო კოგიაშვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ნორბერტ ჰაუგი მომენტით ტკბება

უილიამსმა ჰემილტონში შუმახერი დაინახა

ნორბერტ ჰაუგი

გასულ უქმეებზე მონტე კარლოს ქუჩებში გამართული სარბოლო უიქენდი, რომელიც კვირას, კოკისპირულ წვიმაში წარმოუდგენლად თვალსაჩინო რბოლითა და „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი პილოტის ლუის ჰემილტონის გამარჯვებით დასრულდა, კვლავაც საპირველფორმულო სამყაროს ყურადღების ცენტრშია.

კომპანია „მერსედესის“ სპორტული განყოფილების უფროსმა ნორბერტ ჰაუგმა ჰემილტონის გამარჯვებას „მაკლარენისა“ და „მერსედესის“ ურთიერთობის ისტორიაში უდიდესი მომენტი უწოდა. „ლუისმა“ ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა. „მაკლარენს“ საუკეთესო სტრატეგია ჰქონდა შემუშავებული, თანაც ჩვენ ყველაზე სწრაფები ვიყავით და იღბალმაც გაგვიღიმა. „მაკლარენისა“ და „მერსედესის“ ურთიერთობის განმავლობაში ეს 54-ე გამარჯვება იყო, აქედან მე-6 — მონტე კარლოში და ამდენი წარმატების ფონზე, სწორედ ჰემილტონის ტრიუმფს შემიძლია ვუწოდო უდიდესი გამარჯვება — განაცხადა ჰაუგმა და დაამატა — სამწუხაროდ, ჰეიკი კოვალაინენს, უკვე გასახურებელ წრეზე შეექმნა პრობლემები. არადა, პოდიუმისთვის მასაც შეეძლო ებრძოლა. მთლიანობაში კი, უაღრესად კმაყოფილი ვარ და მთელ გუნდს უდიდეს მადლობას ვუხდი. საჩემპიონო ბრძოლა ახლიდან იწყება და ჩვენ მზად ვართ ამ ბრძოლისთვის“.

ჰემილტონის მონტე კარლოში რბოლით აღტაცებულია სერ ფრენკ უილიამსიც, ვისთვისაც წლევანდელი მონაკოს დიდი პრიზი მე-600 იყო საპირველფორმულო გუნდის ხელმძღვანელის რანგში.

„მან შესანიშნავ სტილში იმარჯვა. მონტე კარლოში პილოტებზე უზარმაზარი ზეწოლაა, ტრასა ბარიერებითაა შემოზღუდული და განსაკუთრებული ტვინი უნდა გქონდეს, აქ რომ მოიგო. ძალზე დიდხანს მონაკოში მიხაელ შუმახერი დომინირებდა, მაგრამ მისი ეპოქა დასრულდა. ლუისს კი ნამდვილად აქვს იმის უნარი და ხასიათი, რომ საკუთარი სახელი მონაკოს დიდ პრიზთან ხანგრძლივად დააკავშიროს“ — ბრძანა „უილიამსის“ საჯინიბოს ღვაწლმოსილმა შეფმა.

ძახა ლომაძე

კატეგორიული იტალიელები და გაოცებული ლაუდა

მაშინ, როდესაც ლუის ჰემილტონი მონტე კარლოში მოპოვებული გამარჯვების გამო ცაში აჰყავთ, იტალიური პრესა „ფერარის“ აკრიტიკებს და, რაც „სუდერიასთვის“ ყველაზე სამწუხაროა, კრიტიკის სიტყვები ჰემილტონის ქების ფონზე ისმის.

„ლუისს ექსტრაორდინალური ტალანტი აქვს და ამავე დროს, მან აჩვენა, რომ სველ გზაზე ნამდვილი ოსტატია — წერს „ლა გაძეტა დელო სპორტი“ და იქვე ირონიულად მიანიშნებს — თანაც გაითვალისწინეთ, ჰემილტონის მანქანა ყველაზე სწრაფი ნამდვილად არ არის“.

ყველაზე სწრაფი, იტალიელთა აზრით, კვლავაც „ფერარია“, მაგრამ გუნდს მონტე კრალოში დაშვებული შეცდომების გამეორების უფლება აღარ აქვს. „ფერარის“ პოზიციები კვლავაც ძლიერია, მაგრამ მსგავსი შეცდომები აღარ უნდა გამეორდეს“ — კატეგორიულია „კორიერე დელო სპორტი“, ხოლო „ტუტოსპორტი“ წერს: „ფერარის“ მონაკოში 2001 წლიდან არ მოეგო და ახლა იმედი გვქონდა, რომ „სკუდერია“ დიდ პრიზს მოიპოვებდა, მაგრამ ჩვენ კვლავ სამარცხვინო მარცხი ვიწვნიეთ. „მაკლარენმა“ ეს გამარჯვება სრულად დაიმსახურა.

ნიკი ლაუდა

„ფერარის“ და მთლიანად ფორმულა 1-ის ლეგენდა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა გაუცებულია მონაკოში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, ფინელი კიმი რაიკონენის უსუსური გამოსვლით. „ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, ყველაზე მაღალანაზღაურებადმა პილოტმა ასეთი იდიოტური რბოლა ჩაატაროს?“ — რიტორიკულად განაცხადა ერთ-ერთი გერმანული სატელევიზიო არხისთვის მიცემულ ინტერვიუში დიადმა ავსტრიელმა.

მიუხედავად ლაუდას ასეთი სიტყვებისა, რაიკონენი კვლავაც რჩება ბუქმეიკერთა მთავარ ფავორიტად. „უილიამ ჰილის“ საბუქმეიკერო კანტორის აზრით, საჩემპიონო ბრძოლაში კიმი, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში ჰემილტონს ჩამორჩება, მთავარ ფავორიტად რჩება კოეფიციენტით — 2,1/1. ჰემილტონის ჩემპიონობაზე კოეფიციენტი 2,5/1-ზე არის. შემდეგ ფელიპე მასა (4,5/1) და რობერტ კუბიცა (26/1) მოდიან, ხოლო დანარჩენი მრბოლები „უილიამ ჰილის“ მიერ ჩემპიონობის კანდიდატებად, უკვე აღარ განიხილებიან.

ძახა ლომაძე

NHL

სტენლის თასი. ფინალი

მეორე მატჩი

დეტროიტი 3:0 პიტსბურგი

2:0 0:0 1:0

სერია დეტროიტს მიჰყავს 2:0

1:0 სტიუარტი (7, ფილპულა), 2:0 ჰოლმსტრომი (12, ზეტერბერგი), 3:0 ფილპულა (49, ფრენცენი, სტიუარტი)


დეტროიტელ ვალტერ ფილპულას „პიტსბურგის“ კარში მეორე გოლი გააქვს

პატარა, უფრთო პინგვინები წითელფრთიანებმა გადაფარეს

სტენლის თასის ფინალების დაწყებამდე ჩრდილოამერიკელ სპეციალისტთა უმრავლესობა ფავორიტად „პიტსბურგს“ მიიჩნევდა — გუნდს წინა ხაზში იმდენად დიდი პოტენციალი გააჩნია, რომ მას ვერც „დეტროიტი“ გააჩერებსო. თუმც ჩატარებულმა ორმა მატჩმა სრულიად საპირისპირო აჩვენა და „წითელფრთიანებმა“ გააჩერეს კი არა, თავიანთი საფირმო თამაშით მთლიანად გაგუდეს „პინგვინების“ სუპერვარსკვლავები და ჩატარებულ შეხვედრებში კინკილა შაიბაც კი არ გაატანინეს.

გამოჩნდა, რომ გამოცდილება მაინც შეუფასებელი რამაა, განსაკუთრებით სტენლის თასის ფინალში თამაშის გამოცდილება, რაც „დეტროიტს“ უხვად გააჩნია — გუნდში მთლიანობაში, სტენლის თასის მომგები 23 ჰოკეისტი თამაშობს, რომლებმაც კარგად იციან, თუ რა არის საჭირო მიზნის მისაღწევად და ასევე იციან, როგორ გაუძლონ ზეწოლას.

„პიტსბურგს“ არც ის უწყობს ხელს, რომ გუნდმა ყველაფერს, ჯერჯერობით, ზედმეტი წვალების გარეშე უწია — ჯერ იყო და, მარტივ მამრავლებად დაშლილ „ოტავას“ გადაუარა, შემდეგ მშვენივრად ისარგებლა „რეინჯერსის“ გამოუცდელი მცველების შეცდომებით და ბოლოს ადვილად გაუმკლავდა გადაღლილ და წამყვანი უკანახაზელების გარეშე დარჩენილ „ფილადელფიას“. ასე რომ, „პინგვინებს“ ფინალამდე თითქმის არანაირი პრობლემები არ შექმნიათ და აქამდე ჯერაც არ ყოფილან მდევრის მდგომარეობაში. ეტყობა, მათ ეგონათ, რომ „დეტროიტთანაც“ ასევე ადვილად გავიდოდნენ ფონს, მაგრამ...

პირველი მატჩის პირწმინდად წაგების შემდეგ „პიტსბურგისგან“ უკეთეს თამაშს მოელოდნენ, თუმც გუშინ „წითელფრთიანებმა“ ისევ ხელ-ფეხი შეუკრეს ახალგაზრდა მეტოქეებს. ამჯერად მასპინძლებმა საქმის შორს გადადება აღარ ისურვეს და მატჩის ბედი პირველ პერიოდშივე გადაწყვიტეს — თავიბრედ სტიუარტმა და ტომას ჰოლმსტრომმა გამოიჩინეს. ამას მესამე პერიოდში ვალტერი ფილპულამ კიდევ ერთიც მიამატა (ძალიან ლამაზ სტილში, უკვე წაქცეულმა შეაგდო), „დეტროიტის“ დაცვამ კი თავისი საქმე ისევ ხუთიანზე გააკეთა და მიჩიგანელებიც კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ სანუკვარ ჯილდოს. სტატისტიკაც მათ მხარეზეა — აქამდე ფინალში პირველი ორი მატჩის მომგები 31 გუნდიდან მხოლოდ ერთმა ვერ შეძლო სტენლის თასის დასაკუთრება.

„პიტსბურგმა“ კი გუშინ თავი მხოლოდ უხეშობითა და უაზრო ჯარიმებით გამოიჩინა. 42 წლის ვეტერან გერი რობერტს კი ძალიან უნდა გაუმართლოს, რომ დისკვალიფიკაცია არ მისცენ იუჰან ფრენცენსთვის უკნიდან მუშტის დაარტყმისთვის.

„პინგვინებს“ ახლა მხოლოდ იმის იმედიღა რჩებათ, რომ საკუთარ ყინულზე მაინც შეძლებენ ათამაშებას, მით უმეტეს, რომ წლევანდელ პლეი ოფში „მელონ არენაზე“ 8-ვე შეხვედრა მოიგეს. თუმც თუ მიშელ ტერიენმა რამე განსაკუთრებული არ მოიფიქრა, მხოლოდ საკუთარი ყინული, ანაც გულშემატკივრები, „პინგვინებს“ დიდებულ ფორმაში მყოფი „დეტროიტის“ დამარცხებაში ვერ დაეხმარებიან.

ძახა ლომაშვილი

დოლომიტური ჯოჯოხეთი

13 კილომეტრი ველოსიპედისტისთვის თითქოს რა ბედენაა, მაგრამ როდესაც ეს ცამეტი კილომეტრი ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზეა და თანაც, კოშმარულ, ალაგ-ალაგ ოცპროცენტიანი დახრილობის მქონე აღმართში, მაშინ ეს, ერთი შეხედვით სასაცილო გზა ჯოჯოხეთად შეიძლება იქცეს.

რიგით 91-ე „ჯირო დიტალიას" მე-16 ეტაპის სიგრძე 12,9 კილომეტრი იყო. დოლომიტის ალპებში, სამთოსათხილამურო ზონაში, სან ვიჯილიო დე მარებედან პლანე დე კორონესამდე ვიწრო გზის აქეთ-იქით ზღვა ხალხი იყო შეკრებილი, გზის პირებზე კი ჯერაც უხვი თოვლი იდო და გაიშვიათებული ჰაერისა და აღმართის გარდა მრბოლებს სიცივეც უქმნიდა პრობლემებს.

ყურადღების ცენტრში გენერალური კლასიფიკაციის 10 მოწინავე იყო. ინდივიდუალური რბოლის რეგლამენტის თანახმად, ჯერ ბოლოადგილოსანი გადის ტრასაზე, შემდეგ ბოლოსწინა და ასე შემდეგ. მე-10 ადგილზე შაბათ-კვირის გმირი, ორი ურთულესი სამთო ეტაპის მომგები ემანუელ სელა იყო და ფავორიტებიდან პირველი, სწორედ ის დადგა სტარტზე.

სელამ იდეალურად გაიარა ეს 13-კილომეტრიანი გზა და ბევრმა იფიქრა, CSF-ის მრბოლი მივჯრით მესამე ეტაპს მოიგებსო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საქმეში „ლიქუიგასის" ფრანკო პელიცოტი ჩაერია და ამ 30 წლის უდინელმა, საბოლო ჯამში 6 წამით აჯობა სელას.

მესამე ადგილი, პელიცოტისთან 17-წამიანი ჩამორჩენით, კიდევ ერთმა იტალიელმა, „ჯიროს" ორგზის ჩემპიონმა ჯილბერტო სიმონიმ დაიკავა და მხოლოდ მეოთხე იყო საერთო ჩათვლის ლიდერი, ესპანელი ალბერტო კონტადორი.

მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ვერ მოახერხა ეტაპის მოგება, კონტადორი, ალბათ, მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგანაც უმთავრეს კონკურენტებთან, რიკარდო რიკოსა და დანილო დი ლუკასთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა.

მე-16 ეტაპის შემდეგ რიკო 41 წამს აგებს კონტადორთან და პარასკევს და შაბათს, როდესაც მორიგი სამთო ეტაპები ჩატარდება, ამ ორს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება, რომელში ჩარევას სიმონიც შეეცდება — 37 წლის ვეტერანი კონტადორთან წუთსა და 21 წამს აგებს და ამ ჩამორჩენის ლიკვიდრება მთებში ნამდვილად შეიძლება.

აი, დი ლუკა კი, უკვე 2 წუთითა და 18 წამით ჩამორჩება კონტადორს და ძნელი წარმოსადგენია, LPR-ის მრბოლმა შარშან მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება რომ შეძლოს.

ალბერტო კონტადორი
დოლომიტის ალპების ფონზე

91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

XVI ეტაპი

სან ვიჯილიო დი მარებე — პლან დე კორონესი. 12,9 კმ

ინდივიდუალური რბოლა

1. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი")	40 წთ 26 წმ
2. ემანუელ სელა (იტალია, CSF)	+6 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სერამენტი")	+17
4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა")	+22
5. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი")	+30

საერთო ჩათვლა

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა")	68 სთ 47 წთ 31 წმ
2. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი")	+41 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სერამენტი")	+1.21
4. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე")	+2.00
5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი")	+2.18

ველოსოს კატალონია



გუსტავო სეზარ ველოსო

წინა კვირაში პრო ტურის სერიაში შემავალი ექვსეტაპა „ვუელტა კატალუნია" ჩატარდა. რბოლა „კარპინ კალიკას" ესპანელმა ველოსიპედისტმა გუსტავო სეზარ ველოსომ მოიგო, რომელმაც საბოლოო ჯამში, 16 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ კოლუმბიელ რიგობერტო ურანს („კაის დეპარნი"), მესამე ადგილი კი გამარჯვებულთან 21-წამიანი ჩამორჩენით „კრედიტ აგრიკოლის" ფრანგმა მრბოლმა რემი პაურიოლმა დაიკავა.

კატალონიური რბოლის შემდეგ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) პრო ტურის სერიის ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. კლასიფიკაციას სათავეში კვლავაც „ლამპრეს" იტალიელი დამიანო კუნეგო უდგას და საერთოდაც, პირველ ათეულში არც არაფერი შეცვლილა.

ტოპ-ოცეულში ყველაზე ბევრი, ექვსი წარმომადგენელი ესპანეთს ჰყავს; იტალიელები სამი მრბოლით იწონებენ თავს; გერმანია და იტალია ორ-ორი ველოსიპედისტით არიან წარმოდგენილნი და თითოთითო მრბოლიც ჰოლანდიას, ავსტრალიას, კოლუმბიას, ჩეხეთს, საფრანგეთს, ლუქსემბურგსა და შვეიცარიას ჰყავთ.

გუნდებს რაც შეეხება, მოწინავე ოცეულში სამი მრბოლი ჰყავს ჰოლანდიურ „რაბობანკს", ორ-ორი — იტალიურ „ლამპრეს", ამერიკულ „ჰაი როადს", ლუქსემბურგულ-ყაზახურ „ასტანას" და ესპანურ „კაის დეპარნს", ხოლო კიდევ ცხრა გუნდი თითო ველოსიპედისტით არის წარმოდგენილი.

პრო ტურის რეიტინგი

მრბოლები

1. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე")	73
2. ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰაი როადი")	62
3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა")	58
4. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი")	54
5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა")	53
6. სტიინ დევოლდერი (ბელგია, „ქვიკ სტეპი")	50
7. ჰოსე ხოაკინ ხილი (ესპანეთი, „კაის დეპარნი")	45
8. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი")	45
9. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო")	42
10. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი")	40
11. რიგობერტო ურანი (კოლუმბია, „კაის დეპარნი")	40
12. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, „ლიქუიგასი")	40
13. ნიკ ნიუენსი (ბელგია, „კოფიდისი")	40
14. რემი პაურიოლი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი")	36
15. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, „რაბობანკი")	35
16. მარკო პინოტი (იტალია, „ჰაი როადი")	35
17. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	32
18. აურელიენ კლერკი (შვეიცარია, „ბუუ ტელეკომი")	30
19. ხოსეპ ხოფრე პოუ (ესპანეთი, „სონი დიუვალი")	30
20. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე")	30

გუნდები: 1. ასტანა (ლუქსემბურგი-ყაზახეთი) 110 ქულა; 2. CSC (დანია) 93; 3. კაის დეპარნი (ესპანეთი) 92); 4. სონი დიუვალი (ესპანეთი) 89; 5. რაბობანკი (ჰოლანდია) 86; 6. ფრანსაიზ დე უუ (საფრანგეთი) 85; 7. ლოტო (ბელგია) 83; 8. გეროლშტაინელი (გერმანია) 80; 9. ჰაი როადი (აშშ) 77; 10. ეუსკალტელი (ესპანეთი) 72

ქვეყნები: 1. ესპანეთი 223 ქულა; 2. იტალია 178; 3. ბელგია 150; 4. გერმანია 140; 5. საფრანგეთი 134; 6. ავსტრალია 63; 7. ჰოლანდია 59; 8. ლუქსემბურგი 53; 9. კოლუმბია 43; 10. ჩეხეთი 40

რუსთავში ყველას თურქებმა აჯობეს

ყაზარაშვილის თასი აზერბაიჯანელმა წაიღო

23-25 მაისს რუსთავში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართველი მსოფლიოს ჩემპიონის თემურ ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. მასში 6 ქვეყნის 170-მდე ჭაბუკი სპორტსმენი მონაწილეობდა. თავი ისახელეს თურქმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც შეჯიბრებაზე ყველაზე მეტი — 4 ოქროს მედალი მოიპოვეს. ქართველთა მონაგარი 3 ოქროს 4 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალია. თემურ ყაზარაშვილის სახელობის თასის კი, რომელიც 50 კილორამ წონით კატეგორიაში თამაშდებოდა, აზერბაიჯანელი ორხან ჯაბარლი დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ თემურ ყაზარაშვილის სახელობის ტურნირი უკვე მეთორმეტედ ჩატარდა. მომავალ წელს ტურნირის ორგანიზატორები უფრო მასშტაბური ღონისძიების გამართვას გეგმავენ.

ზურაბ მიგრიაული



ბორის ჟანიეშვილის ფოტო

42 კგ: 1. ენეს ბასარი (თურქეთი), 2. ამირან შალვაძე (საქართველო), 3. მალიკ გელმალიევი (საქართველო) და საგსიკ კოჩარიანი (სომხეთი)

46 კგ: 1. რონინ ძირკვაძე (საქართველო), 2. ლუდვიგ კოჩარიანი (სომხეთი), 3. ალი სისიკი (თურქეთი) და სულხან ნიკოლაიშვილი (საქართველო)

50 კგ: 1. ორხან ჯაბარალი (აზერბაიჯანი), 2. ფირუზ წულუკიძე (საქართველო), 3. დავიდ შახბაზიანი (სომხეთი) და შარხან მამადოვი (აზერბაიჯანი)

54 კგ: 1. გიორგი დავითაია (საქართველო), 2. ირუნოღლუ ჰუშნუ (თურქეთი), 3. ასლან პოღოსიანი და ედგარ მელიქიანი (ორივე სომხეთი)

58 კგ: 1. ორხან ფაშაევი (აზერბაიჯანი), 2. ემრე იუნუსი (თურქეთი), 3. ჯემალ ხარაბაძე (საქართველო) და ჯაფარ ბლაგადაშოვი (აზერბაიჯანი)

63 კგ: 1. ზურაბ დათუნაშვილი (საქართველო), 2. ვალოდია საკიანი (სომხეთი), 3. არტურ პეტროსიანი (სომხეთი) და მირზა გაგაშელიშვილი (საქართველო)

69 კგ: 1. რუბენ ჩარიბიანი (სომხეთი), 2. გოგა აპრიამაშვილი (საქართველო), ლაშა ღოლიძე (საქართველო) და პარვიზ შამედოვი (სომხეთი)

76 კგ: 1. ატენ ასლანი (თურქეთი), 2. არტურ ალექსიანი (სომხეთი), 3. ჯუმბერ ღოლიძე (საქართველო) და გუნგორ ბარისი (თურქეთი)

85 კგ: 1. ბასარ მეტეპანი (თურქეთი), 2. რევაზ ნადარეიშვილი (საქართველო), 3. რაირი ჰარუთინიანი (სომხეთი) და სანდრო დიხამინჯია (საქართველო)

85 კგ: 1. ნიგამ ბაირამი (თურქეთი), 2. ვაზიკ ეგიზარიანი (სომხეთი), სერგი გოგისვანიძე და ლევან არაბული (ორივე საქართველო)

100 კგ: 1. ნიგამ ბაირამი (თურქეთი), 2. ვაზიკ ეგიზარიანი (სომხეთი), 3. სერგო გოგისვანიძე და ლევან არაბული (ორივე საქართველო)

როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი – 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

პარიზი წყალში

პარიზის ცამ პირი გუშინწინ რომ მოაღო, მოკუმვას აღარ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, რიგით მესამე სათამაშო დღე თითქმის მთლიანად ჩაიშალა, რადგანაც მხოლოდ ერთი საათით გამოიდარა — შემდეგ ისევ გაწვიმდა და ჩოგბურთელებმაც ისევ გასახდელებს მიაშურეს.

ბუნების საჩოგბურთო საქმეებში ამდგავარ ჩარევაზე წერას უიმბლდონზე უფრო ვართ ჩვეული — ინგლისურ სლემტურნირზე წვიმებითა და სათამაშო გრაფიკის მუდმივი ცვლილებით ვერავის გააკვირვებ. მეტიც, ეს უკვე უიმბლდონის სავიზიტო ბარათია და ლამისაა, ტურნირის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იქცეს. ამიტომაც ინგლისელები ჩვეულნი არიან ამ მდგომარეობაში ყოფნას და ნებისმიერი სათამაშო დღის ნაწილობრივ ან მთლიანად გადადებას მშვიდად ხვდებიან ხოლმე. ამას ვერ ვიტყვით „როლან გაროსის“ ორგანიზატორებზე, რომლებიც ლამისაა, პანიკაში ჩავარდნენ — აღარ იციან, რა გამოსავალი ნახონ. ისე, გამორიცხული არაა, ცოტა ხანში ფრანგებმა ინგლისელებს მიბაძონ და ცენტრალური კორტი გადახურონ — უიმბლდონზე ეს პროცესი დაწყებულია და 2010 წლისთვის მოებმება თავი.

არადა, პარიზისთვის წვიმა უცხო მოვლენა ნაღდად არ არის. სტატისტიკურად სენაზე გაშენებულ ქალაქში წლიურად უფრო მეტი ნალექი მოდის, ვიდრე ლონდონში. მაგრამ საქმე ისაა, რომ პარიზისთვის მაის-ივნისი ყველაზე მშრალი თვეებია და „როლან გაროსიც“ სწორედ ამიტომ იმართება ამ პერიოდში. ჰოდა, გასაკვირი აღარაა, რომ ტურნირის ორგანიზატორები საკმაოდ მოუმზადებელნი შეხვდნენ მოვლენების ეგზომ მოულოდნელ განვითარებას. მთავარი კი ისაა, რომ ვერც სინოპტიკოსები იძლევიან დამამშვიდებელ პროგნოზს და ორგანიზატორთა გულის გასახეთქად აცხადებენ, წვიმიანმა ამინდებმა შეიძლება კვირის ბოლომდე გასტანოსო.

გუშინ ბლომად მატჩები უნდა გამართულიყო. კორტებზე ისეთი ბობოლები უნდა გასულიყვნენ, როგორებიც რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი, მარია შარაპოვა და ელენა დემენტიევა არიან. თუმც არც ერთ მათგანს არ დასცალდა გასახდელის დატოვება.

საღამომდე მხოლოდ ორადორმა ჩოგბურთელმა მოასწრო მატჩების მომთავრება. ეს იღბლიანები სვეტლანა კუზნეცოვა და დინარა საფინა არიან. რუსებმა ნამეტანი იყოჩაღეს და რადგანაც წვიმის შიშის გამო არ სურდათ მატჩების სახვალიოდ გადადება, მეტოქეები მალევე მოაშთეს. კუზნეცოვამ საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და აიკო ნაკამურა მიჩოგნა — 6:2 6:3.

საფინამ კი კიდევ უფრო ნაკლები მოანდომა კატერინა ბონდარენკოს და უკრაინელი 55 წუთში გაბდღვნა — 6:1 6:3.

კახა ლომაშვილი

სალომამაც მოიგო, ოქსანამაც და ანამაც

სალომე დევიძემ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიული კერსონის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის ძირითადი ბადისკენ. საკვალიფიკაციო შეჯიბრის მეორე წრეში ქართველმა ჩოგბურთელმა 4:6 7:6 6:3 დაამარცხა 24 წლის ურეიტინგო ამერიკელი კიმ-ან ნგუ-ენი და ახლა, მესამე და გადამწყვეტ შეხვედრას კიდევ ერთ მასპინძელთან, რეიტინგის 997-ე ნომერთან, მოურენ დიასთან ჩაატარებს.

ამასობაში, უკვე გაირკვა ძირითად ბადეში მე-4 ნომრად განთესილი ანა ტატიშვილის პირველი მეტოქის ვინაობა. ანა შეჯიბრს 29 წლის სამხრეთაფრიკელთან, სურინა დე ბეერთან შეხვედრით გახსნის. ეს დე ბეერი ამჟამად 396-ეა რეიტინგში, საუკეთესო პოზიცია კი (130-ე) ათი წლის წინ, 1998 წელს ეკავა.

რუსეთში, ტოლიატის ჰარდზე მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე კი კვალიფიკაციიდან წამოსულმა ოქსანა კალაშნიკოვამ, უკვე ძირითადი შეჯიბრის მეორე წრეს უწია, 6:2 7:6 დაამარცხა რა კორტის მასპინძელი, რეიტინგში 687-ე ადგილზე მყოფი ევგენია პაშკოვა.

შეგახსენებთ, რომ ტოლიატში მე-4 ნომრად სოფო შაფათავაა განთესილი და პირველ წრეში ის, ასევე რუსს, ეკატერინა დრანეცს შეხვდება.

კალაშნიკოვას დარად, მეორე წრეში გააღწია ანა ჯიქიამაც, ვინც თურქეთში, გაზიანთების მაგარსაფარზე მიმდინარე 10-ათასიან ტურნირში მონაწილეობს. ანამ 6:4 3:6 7:6 მოუგო კლასიფიკაციის 805-ე ნომერს, სამხრეთაფრიკელ ლიზა მარშალს და ახლა ავსტრალიელ დანიელა სკივეტს შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, პირველ წრეში 6:0 6:1 გაანადგურა თურქი ტაგცე დოგანი.

ოქსანა კალაშნიკოვა

ცურვა

ბერძენი მოცურავე დოპინგზე ჩავარდა

საბერძნეთის ოლიმპიურ გუნდს საპეკინოდ მედლის ერთ რეალური პრეტენდენტი გამოაკლდა. მოცურავე იანის დრიმონაკოსი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა და თითქმის აღარ დარჩა აკვისტოში პეკინში წასვლის შანსი. მას დოპინგ-ტესტი მარტში რიგგარეშედ აუღეს და ახლა აღმოუჩინეს სისხლში აკრძალული ნივთიერება მეთილტრინოლონი.

დრიმონაკოსმა კი ისევე, როგორც მის დღეში ჩავარდნილმა თითქმის ყველა სპორტსმენმა, გაოგნებული იერი მიიღო და თავისი ადვოკატის პირით თქვა, საბერძნეთის მწვანე ფერდობებზე დადინებული წყაროებივით ანკარა და სუფთა ვარ, არაფერიც არ მიმიღია და ვიღაცა შარს მდებსო.

„ის სტრესშია, რადგან არასდროს დოპინგის მსგავსი არაფერი არ მიუღია — ამბობს დრიმონაკოსის ადვოკატი — დღეიდან ის უარს ამბობს ტურნირებში გამოსვლაზე, აღარ წავა პეკინის ოლიმპიადაზე და შესაძლოა, ცურვას საერთოდ დაანებოს თავი. ჩემი კლიენტი აპირებს, მთელი დრო თავისი სიმართლის დამტკიცებას მოახმაროს.“

გასაკვირი არაა, რომ დრიმონაკოსმა თავი დაანება ცურვას, რადგან მალე ძალით დაანებებინებდნენ. ანტისადოპინგო სამსახურს ჯერ საბოლოოდ არ უმხილებია დოპინგის ხმარებაში, მაგრამ როცა ამხელს, ეჭვიც არაა, ბერძენი მოცურავე, 200 მეტრ ბატერფლაის სტილით ცურვაში ევროპის რეკორდსმენი სულ ცოტა ორწლიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრავს ხელს.

მძლეოსნობა

დიბაბას დიდი მიზნები

წლეულს პეკინში გასამართი ოლიმპიადა ყველაფერს ჩრდილავს და მძლეოსნებიც, ისევე როგორც ჩინეთში ბილეთშეკვეთილი სხვა სპორტსმენები, ისე ადგენენ წლიურ პირად კალენდარს, რომ სხვა ტურნირებზე დიდად არ მოიქანცონ და ოლიმპიადას ფიზიკური ფორმის პიკში შეხვდნენ.

მხოლოდ ერთეულები არ უშინდებიან გადაღლას და ასეთია ეთიოპიელი სტაიერი ტირუნეშ დიბაბა. ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი 5 კილომეტრზე სირბილში პეკინშიც ოქროს მოსაპოვებლად ჩავა, მაგრამ მანამდე მან დროის გაფლანგვა არ ისურვა და ჯილდოთა თაროს კიდევ ერთ ხმაურიანი მონაპოვარით გამდიდრება გადაწყვეტა.

დიბაბას გადაწყვეტილი აქვს ოქროს ლიგაში მონაწილეობა, რომელიც ექვსი ეტაპისგან შედგება და ამ ექვსიდან ეთიოპიელთა ქალმა განსაკუთრებული ეტაპიც მოინიშნა, 6 ივნისს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გასამართ მეორე ეტაპზე მსოფლიო რეკორდი უნდა დავამყაროო — ამბობს ის.

„ოსლოს სარბენი ბილიკი ძალიან სწრაფია, თანაც ნორვეგიაში ზაფხულის პირველი დღეები პირდაპირ იდეალურია სუნთქვისთვის და სირბილისთვის. თქვენც ხომ იცით, ამ მოედანს „რეკორდთა“ მოედანს ეძახიან და შარშან მესერეტ დეფამაც აქ დაამყარა თავისი რეკორდი. მე რეკორდს უსაფუძვლოდ კი არ ვახსენებ, მართლა კარგ ფორმაში ვარ და ყველა ლოგიკით შემიძლია მესერეტის რეკორდზე სერიოზული შეტევა“ — ამბობს დიბაბა.

სათქმელია, რომ დიბაბა და დეფარი ერთმანეთის კონკურენტები არიან. ორივე ეთიოპია და 5-კილომეტრიან დისტანციაზე ორივეს ეკუთვნის პირველობა, მაგრამ ერთმანეთს ერიდებიან და მხოლოდ განსაკუთრებულ ტურნირებზე ეჯიბრებიან. შარშან დეფარმა დაამყარა რეკორდი, როცა ოსლოში 5 კილომეტრი 14 წუთსა და 16,63 წამში დაფარა. დიბაბა თვლის, რომ ახლა მისი ჯერი დადგა.

ვანო ძოგიაშვილი

ტერაქტის შიშით

ერაყული გაზეთები ორშაბათს ერთი და იმავე თემით ხსნიან გვერდებს: ფიფამ შესაძლოა ერაყული კლუბ-ნაკრებები 12 თვით მოკვეთოს საერთაშორისო სარბიელს და ამით შეშინებული ავსტრალიელები 29 მაისს ბრისბეინში გასამართი მატჩის გადადებას აპირებენ ავსტრალიასა და ერაყს შორის, აქაოდა ფიფას სანქციის გამო ერაყელებმა შური ჩვენზე არ იძიონ და ემანდ ტერაქტი არ მოგვიწყონო.

ფანები

ვიეტნამის ნაკრები ვთქვათ, ინგლისს ან არგენტინას რომ შეხვდეს, ვიეტნამელი ფანები ალბათ ვერ გაბედავენ ავყია ინგლისელებზე ან დაუნდობელ არგენტინელებზე გაწევას, მაგრამ როცა ორი იქაური გუნდი ხვდება ერთმანეთს, ყველაზე გიჟმაჟ ვიეტნამელ ჯეელებსაც თვალებში სისხლი აწვებათ და მათაც ისევ გავეშებით სწყურიათ მეტოქე გუნდის ქომაგთა გალახვა. დიდი ჩხუბი ყოფილა „ჰიი პონგისა“ და „სონგ ლამის“ თამაშზე. შეხლა შემოხლაში ერთი კაცი მომკვდარა, ეს საწყალი ჯეელი კი „მტრებს“ ჯერ გაულახიათ, მერე კი სხვაფრივაც დაუჩაგრავთ.

ერთი ოჯახი, ერთი ტკივილი

პეკინში მძლეოსნობის ტურნირი მიდის. ჩინეთზე და ჩინელებზე გულატკივებული ეს ჩინელი ახალგაზრდები ხალხს ანიშნებენ — გახსოვდეთ სიჩუანის მიწისძვრა მთელი ქვეყნის ტრაგედიაა, ჩვენი ჩინეთი ხომ ერთი დიდი ოჯახიაო.

არ გადაიღო, გადაიდო



წვიმს პარიზში. მოიწყინეს ხმაურიანი მაყურებლისგან განძარცვულმა კორტებმა. სამშაბათს დილით ისე უწვიმია, ყველა ადრეული თამაში გადაუდია და ეს ხალხიც შარშანდელ ჩემპიონ რაფა ნადალის არ შემდგარ თამაშს სტოვებს.

მეორე ბურთი

ამ ფოტოზე კარგად ვერ ჩანს, მაგრამ წარწერა გვაუწყებს — „ბოსტონ რედ სოქსისა“ და „სიეტლ მარინერზის“ შეხვედრაში ერთი მოგერიებული ბურთის დასაჭერად რომ შემხტარა ქეთჩერი, იქვე ტრიბუნიდან მავან ანც მაყურებელს მეორე ბურთი შეუგდია მოედანზე, დამჭერი დაუბნევია და ხალხი გაუხალისებიაო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი ჰერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00